For the purposes of characterization of the financial security we chose the following functional indicators: monetization level, the share of external loan in the GDP; share of internal debt in the GDP; the share of state debts in total expenses; inflation rate, share of state expenditures in the GDP; tax collection rate against the GDP.

Key words: *Economic security. Financial Security. Margin indicators.*

ეკონომიკური უსაფრთხოება რთული და მრავალმხრივი კატეგორიაა, რომლის სტრუქტურის, შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების მიმართ განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დახასიათებისათვის ხშირად გამოიყენება ეკონომიკური უსაფრთხოების ფუნქციონალური ინდიკატორების სისტემა, რომელიც მოიცავს: ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობის ინდიკატორებს; სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორებს; ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორებს; სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორებს.

ფინანსურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ადგილი და როლი ენიჭება ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემაში. ფინანსური უსაფრთხოების მაჩვენებლები ახასიათებენ ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარების დონეს, არსებული გამოწვევებისა და მუქარებისადმი მზაობას.

მიღებულია, რომ ფინანსური უსაფრთხოება მოიცავს საბიუჯეტო, საგადასახადო, საინვესტიციო, საფასო, საფინანსო, სადაზღვევო, სავალუტო, საფონდო, საბანკო-საკრედიტო სისტემის, საფინანსო-ფულადი ურთიერთობების უსაფრთხოებას და განიხილება სხვადასხვა – ქვეყნის, რეგიონის, სფეროს (კომპლექსი, კლასტერი), დარგის, სამეურნეო სუბიექტის, პიროვნების დონეზე (3: 13-14).

ცხრილი 1.
ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორები საქართველოში [5; 6]

№	მაჩვენებლის დასახელება	ზღვრული ნიშვნელობა	საქართველო				
			2002	2003	2005	2010	2015
1	მონეტიზაციის დონე (%)	50	6,2	6,2	9,2	14,3	18
2	საგარეო ვალების წილი მშპ-ში (%)	30	44,6	44,9	26,8	33,6	32,5
3	შიგა ვალების წილი მშპ-ში (%)	30	20,4	18,3	13,6	5,1	8,9

4	საერთო ხარჯებში სახელმწიფო ვალის მომსახურების წილი (%)	20	14	12	10	6,1	8,2
5	ინფლაციის დონე (%)	5-6	5,6	4,8	8,2	7,1	4,0
6	სახელმწიფო ვალეების წილი მშპ-ში (%)	40-50	64,9	63,2	40,0	42,4	41,5
7	საგადასახადო შემოსავლები მშპ-სთან მიმართებაში (%)	32	15,2	9,4	15,8	23,5	23,7

საქართველოს, რომელიც ეკონომიკური ტრანსფორმაციის ხანგრძლივ ვადიან პერიოდს გადის, საკმაოდ გამართული და მონესრიგებული ფინანსური სისტემა გააჩნია, რომელიც ათწლების განმავლობაში საკმაოდ სტაბილურად ვითარდება და რაიმე არსებითი ხასიათის რყევები არ ყოფილა. ამასთანავე, ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორების ანალიზიდან ვლინდება, რომ აღნიშნული სტაბილურობის რღვევის მაღალი შესაძლებლობა არსებობს.

ჩვენ მიერ ფინანსური უსაფრთხოების დასახასიათებლად შერჩეულ იქნა შემდეგი ფუნქციონალური ინდიკატორები: მონეტიზაციის დონე; საგარეო ვალის წილი მშპ-ში; შიგა ვალის წილი მშპ-ში; საერთო ხარჯებში სახელმწიფო ვალის წილი; ინფლაციის დონე; სახელმწიფო გასაღების წილი მშპ-ში; გადასახადების აკრეფის დონე მშპ-ს მიმართ. მათი ზღვრული მნიშვნელობის განსაზღვრის საფუძველად გამოვიყენებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებულ გამოცდილებას, „კოპენჰაგენის კრიტერიუმებით“ დადგენილ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ მნიშვნელობებს (1: 129-133; 2: 89-91; 4: 77). ამასთან, აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკური უსაფრთხოების ზღვრულ მაჩვენებლებზე უფრო დაბალ ნიშნულზეა, რაც ამყარებს მოსაზრებას, საფინანსო სექტორში რყევისა და არასტაბილურობის მაღალი შესაძლებლობის შესახებ.

მონეტიზაციის დონე. აღნიშნული ინდიკატორის ზღვრული მნიშვნელობა 50%-ია. საქართველოში მონეტიზაციის დონე 2003 წელს 6,2 %-ს შეადგენდა, საანალიზო პერიოდში იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2012 წლისთვის 15,5 %-ს, 2014 წლისთვის 20,25 %-ს, ხოლო 2015 წლისთვის 18 %-ს მიაღწია. როგორც ვხედავთ იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სასურველ დონეს. აღსანიშნავია, რომ შედარებით მაღალია M3 აგრეგატის მიხედვით გაანგარიშებული მონეტიზაციის დონე (2015 წ. – 42%);

საგარეო ვალეების წილი მშპ-ში, რომლის ზღვრულ სიდიდედ მიღებულია 30 %, საქართველოში 2002 წელს 44,6 %-ს შეადგენდა, ხოლო 2015 წლისთვის 32,5 %-ია. როგორც ვხედავთ, მან უმნიშვნელოდ გადააჭარბა ზღვრულ ნიშნულს. მოსალოდნელია, რომ იგი ზღვრულ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად არც უახლოეს მომავალში ასცილდება. ამის საფუძველს იძლევა საგარეო ვალეების ზრდის კვალობაზე მშპ-ის ზრდა. ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობას ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, მცირე, მაგრამ მაინც აქვს რეზერვები საგარეო ვალეების ასაღებად. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მონაცემებით 10 334 მლნ ლარიდან 28,5 % ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხია, 54,9 % – საინვესტიციო პროექტების დასაფარად, 4,6 % რესტრუქტურირებული კრედიტებია, 11,6 % – ფასიანი ქაღალდები და 0,4% – სავალუტო ფონდიდან ეროვნული ბანკის მიერ აღებული (WWW.Mof.ge);

შიგა ვალეების წილი მშპ-ში (ზღვრული სიდიდე 30%). 2002 წლისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა საქართველოში 20,4 % შეადგინა. საანალიზო პერიოდის განმავლობაში მას ქონდა პოზიტიური დინამიკა და 2015 წლისთვის – 8,9 %. მოცემული მაჩვენებლის ზღვრული ინდიკატორის დონიდან გასვლა არ არის მოსალოდნელი. სახეობების მიხედვით სტრუქტურა ასეთია: სახაზინო ფასიანი ქაღალდები 57,2%, ეროვნული ბანკის მიმართ ვალი – 19 % და ე.წ. „ისტორიული ვალი“ – 23,8%. მთლიანობაში 2015 წლისთვის საშინაო ვალის ნაშთი 2 828 მლნ ლარს შეადგენს (WWW. Mof.ge);

საერთო ხარჯებში სახელმწიფო ვალის მომსახურების წილი (ზღვრული სიდიდე 20%). აღნიშნული მაჩვენებელი 2002 წელს 14,1 %-ს, ხოლო 2015 წლისთვის 8,2 %-ს შეადგენს. მშპ-ის ზრდის კვალობაზე ამ მაჩვენებლის ზრდა მოსალოდნელია სახელმწიფო

ვალეების სულ უფრო მეტი მოცულობის გადახდის პერიოდის დადგომით ან შეღავათიანი პერიოდის გასვლით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მშპ-ის არსებული ზრდა შენელებულია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დარჩება ზღვრული ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი;

ინფლაციის დონე (ზღვრული სიდიდე 5-6%). ოფიციალური სტატისტიკით 2002-2010 წლებში იგი სასურველი ზღვრული მაჩვენებლის ახლოს იმყოფებოდა, ხოლო 2012 წლისთვის კი – დეფლაციას ქონდა ადგილი;

სახელმწიფო ვალეების წილი მშპ-ში (ზღვრული მაჩვენებელი 40-50%). 2002 წლისთვის იგი 64,8 %-ს აღწევდა, 2003 წლისთვის კი – 63,2 %-ს. შემდგომ ეტაპზე მშპ-ის ზრდის მაღალმა ტემპებმა შესაძლებელი გახადა მისი ნორმის ფარგლებში მოქცევა და 2012 წლისთვის ეს მაჩვენებელი 34,9 %-ს აღწევდა. თუმცა, შემდგომ პერიოდში უმნიშვნელო ზრდის ტენდენცია ჰქონდა და 2015 წლისთვის 41,5% შეადგინა.

სახელმწიფო ვალეებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად რჩება 1990-2002 წლებში, აღებული ვალეების მიზნობრიობა. მიღებული კრედიტების სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებით მაღალი იყო სამომხმარებლო ხასიათის კრედიტები, რომლებიც მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაზე იყო ორიენტირებული. მომავალში სასურველია აღებულ კრედიტებს ჰქონდეთ განვითარების ხასიათი და აქცენტირებული იყოს ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებაზე;

საგადასახადო შემოსავლები მშპ-ის მიმართ (ზღვრული სიდიდე 32%). მიუხედავად საქართველოში განხორციელებული ფართომასშტაბური საგადასახადო რეფორმისა და საგადასახადო ადმინისტრირების ძირეული გაუმჯობესებისა, აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წლისთვის 23,7 %-ს შეადგენს. აშკარაა, რომ ამ მიმართულებით აუცილებელია შემდგომი ღონისძიებების გატარება. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სფეროს განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის ხელსაყრელი თანაფარდობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია References

1. მეთოდური რეკომენდაციები ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის შესამუშავებლად. ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. შრომების კრებული, VII ტომი. თბილისი, 2003.
2. ციმიტია კ. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (ეკონომიკური უსაფრთხოების ასპექტები). თბილისი, 2009.
3. Каренина У.И. Финансовая безопасность (на уровне государства, региона, организации, личности). Киров, 2015.
4. Сенчагов В.К. Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранение и развитие. Книга четвертая. 2002.
5. WWW. Geostat.ge;
6. WWW. Mof.ge

გელა სვირავა, ცირა ბეჭვაია

/ეკონომიკის დოქტორი, ზსსუ პროფესორი,
ზსსუ ბიზნესის ადმინისტრირების IV კურსის სტუდენტი/

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციები ღანარების დონე სხვადასხვა ქვეყნაში და საქართველოში

ანოტაცია: თანამედროვე საზოგადოებამ განვითარების მეტად რთული და ურთიერთნაპირაპირი გზა განვლო – ადამიანთა უმარტივესი საზოგადოებიდან მაღალ ტექნოლოგიურ საზოგადოებამდე, სადაც გადამწყვეტ ადგილს იკავებს თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები. გაანალიზებულია როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, ისე რეგიონების მიხედვით ტექნოლოგიებზე და ინოვაციებზე კვლევების ხარჯები. ნაჩვენებია ის როლი, რომელსაც იკავებს თანამედროვე ტექნოლოგიები წამყვანი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში. აღნიშნულია, რომ განვითარებადი ეკონომიკებისათვის დამახასიათებელია ისეთი პროდუქტის წარმოება, რომელსაც დაბალი დამატებითი ღირებულება გააჩნია. მსგავსი სიტუაცია საქართველოში, სადაც შედარებით განვითარებულია დამამუშავებელი მრეწველობა (2016 წლის მონაცემებით დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის მთლიანი მრეწველობის გამოშვებული პროდუქტის 77,5%), რომელიც ძირითადად დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიის განვითარების და ინოვაციების დანერგვის დაბალი დონე.

საქართველოში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. გლობალური ინოვაციების ინდექსის და ინოვაციების ეფექტურობის ინდექსის ჩრილში შედარებულია 2012-2014 წლებში საქართველოს და მეზობელი ქვეყნებში არსებული მდგომარეობა.

ამყარაა, რომ ქვეყნები თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სწრაფ ზრდას აღწევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ორიენტირებული არიან თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარებაზე და

ინოვაციების დანერგვაზე. შესწევთ უნარი მხარი აუბან მსოფლიო ეკონომიკური გარემოს ცვლილების იმ სიჩქარეს, რა სიჩქარითაც ხდება ეს ცვლილებები სამყაროში. საქართველო და მსგავსი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ადგილობრივმა მთავრობებმა ხელი უნდა შეუწყონ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას, გაზარდონ დაფინანსება ტექნოლოგიურ და ინოვაციური კვლევებზე, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას მიაღწიონ ბიზნესის და ეკონომიკის განვითარებას. განვითარებადი ეკონომიკებისათვის მისაღები ზრდის ტემპი 12-13%-ი უნდა იყოს. უფრო ნაკლები ზრდა გრძელვადიან პერიოდში შეიძლება აღმოჩნდეს სოციალური პრობლემების გამწვავების მიზეზი.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უახლოეს პერიოდში თუ არ მოხდა ორნიშნის ზრდის უზრუნველყოფა, მაშინ დიდი ალბათობით ქვეყნის ეკონომიკა, და არა მარტო ეკონომიკა, აღმოჩნდება მეტად მძიმე მდგომარეობაში, რაც მნიშვნელოვნად გაამწვავებს ისედაც მძიმე სოციალურ პირობებს და მივიღებთ ფეთქებადსაშიშ მდგომარეობას, რაც, რა თქმა უნდა, თავიდან უნდა იქნეს აცილებული აგრესიული ეკონომიკური პოლიტიკის და რადიკალური რეფორმების გატარებით.

ორნიშნის ზრდის უზრუნველსაყოფად ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან ერთად მნიშვნელოვანია უახლოეს პერიოდში გაიზარდოს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5-2 პროცენტის ფარგლებში.

ხელი უნდა შეეწყოს ინოვაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას: რეგიონული განვითარების სააგენტოები, ტრანსფერების გადაცემის ცენტრები, ბიზნესინკუბატორები, ტექნოპარკები, სამეცნიერო პარკები.

ამოსავალი სიტყვები: მოლეკულური ეკონომიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინოვაციები, მაღალი ტექნოლოგიების ბაზარი, ხარჯები კვლევებზე.

Gela Svirava, Tsira Bechvaia

*/Doctor of economics, ZSSU professor,
4th year student of ZSSU business administration faculty /*

DEVELOPMENT OF MODERN TECHNOLOGIES AND LEVEL OF INNOVATIONS IN DIFFERENT COUNTRIES AND GEORGIA

Abstract: *Modern society has passed hard and contradictory way from the simple to the hi-tech society where modern technology and innovations take important place.*

Here we can see the analyze of expenses on studies about technology and innovations in the leading countries of the world and in different regions. Here it is shown the role of modern technologies in the economy of leading countries. For developing countries, it is characterized to produce the products which have low VAT. Georgia has the same situation. Here manufacturing is more developed and this is mainly related to local agricultural products. (According to the statistics in 2016, manufacturing takes 77, 5% of the whole industry). The reason is low level of development in technology as well as low level of introduction of innovations.

In Georgia, expenses on studies and development are low not only in state, but also in private sector. This is reflected in the rates and international appreciation. Here is the comparison of the situation in Georgia and its neighbouring countries in 2012-2014 according to the information provided by The Global Innovation Index and Innovations Effectiveness Index.

It is clear that countries achieve rapid growth if they are oriented to develop modern technologies and introduce innovations. They are able to change their economic environment as fast as other countries all over the world. Local governments of Georgia and other developing countries should try their best in order to support setting modern technologies and innovations. Growth rate for developing economies should be 12-13%. Less than this figures can cause long term social problems.

To ensure two-digit growth, it is important to increase fundamental and applied expenses on studies about GDP within 1.5-2 %.

Government should support to develop all necessary infrastructures: regional development agencies, transfer center, business incubators, technology parks, science parks.

Key words: *molecular economic, information technology, innovations, high-tech market, expenses on studies.*

თანამედროვე საზოგადოებამ განვითარების მეტად რთული და ურთიერთნააღმდეგობრივი გზა განვლო, ადამიანთა უმარტივესი საზოგადოებიდან მაღალტექნოლოგიურ საზოგადოებამდე, სადაც გადამწყვეტი ადგილს იკავებს თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები. ახალი მოლეკულური ეკონომიკა უკვე დაიბადა, ხოლო ინფორმაციულმა ეკონომიკამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია სიმწიფის ფაზას, ჯერჯერობით ინფორმაციული ტექნოლოგიები იმყოფება ზრდის ფაზაში, ხდება რალაც საოცრება: ინფორმაციული სისტემები იწყებენ განვითარებას, როგორც ბიოლოგიურები, მსგავსი პროცესები ჩნდება ბიზნესში (1: 19). თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები ხდება დომინანტი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში და, ამავდროულად, არის წინაპირობა ქვეყნის ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის სწრაფი განვითარების.

აშშ-ი აკონტროლებს მაღალი ტექნოლოგიების ბაზრის 40%, ამასთან აქ მუშაობას მსოფლიო მეცნიერების და გამოგონებლების 23%. ინვესტიციები მეცნიერებაში კონცენტრირებულია განვითარებულ ქვეყნებში (მსოფლიოს 70%), აგრეთვე ჩინეთში და ინდოეთში (ერთობლივად – 20%). განვითარებულ ქვეყნებში სამეცნიერო კვლევები მნიშვნელოვანწილად ფინანსდება კერძო სექტორის მიერ: აშშ-ში – დაახლოებით 60%, ევროპაში – დაახლოებით 50%, ლათინურ ამერიკაში – 25-40% ფარგლებში (6).

სახელმწიფო ახორციელებს ინვესტიციებს და ინტელექტუალური საკუთრების გაყიდვისაგან ღებულობს შემოსავლებს. შეერთებული შტატები ყოველწლიურად ამ მუხლით ღებულობს 150 მლრდ. დოლარის შემოსავალს, (შედარებისათვის რუსეთის ფედერაცია ნავთობის გაყიდვისაგან ღებულობს 90 მლრდ. დოლარს). ფინეთს, რომელიც შედის ხუთეულში კვლევებზე ხარჯების მიხედვით, პატენტები აძლევს მთლიანი შიდა პროდუქტის 20 %-მდე (10).

განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მეტ თანხებს გამოყოფენ სამეცნიერო კვლევებზე. როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, განვითარებული ქვეყნების მიერ გაწეული ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 2012 წლისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგინა 2,8%, ბრაზილია – 1,25%, კანადა – 2,0%, იაპონია – 3,48%, სამხრეთ კორეა – 3,45%, ისრაელი – 4,2%, ჩინეთი – 1,6%, ინდოეთი 0,8%, გერმანია – 2,9%, საფრანგეთი – 2,21%, დიდი ბრიტანეთი – 1,8%, შვედეთი – 3,62%, ჰოლანდია – 1,9%, ნორვეგია – 1,85%, იტალია – 1,3%, ჩეხეთი – 1,55%.

ცხრილი 1
ხარჯები კვლევებზე მშპ მიმართ ცალკეულ ქვეყნებში
(მილიარდი დოლარი და % მშპ მიმართ)

	ქვეყნები	2008	2010	2011	2012
1	აშშ	2.78	2.8	2.8	2.8
2	ჩინეთი	1.44	1.48	1.55	1.6
3	იაპონია	3.44	3.44	3.47	3.5
4	სამხრეთი კორეა	3.21	3.36	3.4	3.45
5	გერმანია	2.53	2.81	2.8	2.9
6	საფრანგეთი	2.02	2.21	2.21	2.21
7	დიდი ბრიტანეთი	1.88	1.8	1.8	1.8
8	ინდოეთი	0.8	0.8	0.8	0.8
9	ბრაზილია	1.02	1.1	1.2	1.25
10	კანადა	1.84	1.95	1.95	2
11	იტალია	1.18	1.27	1.3	1.32
12	შვედეთი	3.75	3.62	3.62	3.62
13	ჰოლანდია	1.71	1.84	1.87	1.9
14	ნორვეგია	1.62	1.8	1.85	1.85
15	პოლონეთი	0.61	0.68	0.72	0.72
16	ჩეხეთი	1.47	1.53	1.55	1.55
17	უნგრეთი	0.97	1.15	1.2	1.2
18	რუმინეთი	0.59	0.59	0.65	0.66
19	ისრაელი	4,86	4,27	4,2	4,2
20	საქართველო		0,16	0,16	0,22

რეგიონულ ჭრილში კვლევებზე ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ასე გამოიყურება: ამერიკა – 2,3%, აზია – 1,9%, ევროპა – 2,0%, სხვა ქვეყნები – 1,1%. მთლიანად კვლევებზე

ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მსოფლიოში შეადგენს 2,0%.

მსოფლიო მასშტაბით 2012 წელს კვლევებზე დაიხარჯა 1402,6 მილიარდი დოლარი, რაც რეგიონულ ქრილში შემდეგნაირად ნაწილდება: ამერიკაზე 36,0 % მოდის, მათ შორის აშშ მოდის მსოფლიო ხარჯების 31,1% ანუ 436 მლრდ. დოლარი. აზიაზე –36,9% ანუ 518,4 მლრდ. დოლარი, მათ შორის ჩინეთზე – 14,1% ანუ 198,9 მლრდ. დოლარი. იაპონიაზე – 11,2% ანუ 157,6 მლრდ. დოლარი, ინდოეთზე – 2,9% ანუ 41,3 მლრდ. დოლარი, ევროპაზე – 24,1% ანუ 338,1 მლრდ. დოლარი. დანარჩენ ქვეყნებზე მოდის – 3,2 %, ანუ 44,5 მლრდ. დოლარი.

ცხრილი 2

ხარჯები კვლევებზე თანამედროვე მსოფლიოში (მილიარდი დოლარი და % მშპ მიმართ)

ქვეყნები და რეგიონები	2010		2011		2012	
	მლრდ. დოლარი	%	მლრდ. დოლარი	%	მლრდ. დოლარი	%
ამერიკა	473.7	2.3	491.8	2.3	505.6	2.3
მათ. შორის: აშშ	415.1	2.8	427.2	2.8	436	2.8
აზია	429.9	1.8	479.5	1.9	518.4	1.9
მათ. შორის: იაპონია	148.3	3.4	152.1	3.5	157.6	3.5
ჩინეთი	149.3	1.5	174.9	1.6	198.9	1.6
ინდოეთი	32.5	0.8	38	0.8	41.3	0.8
ევროპა	310,5	1,9	326,7	1,9	338,1	2,0
მათ შორის: საქართველო	0,018	0,16	0,023	0,16	0,035	0,22
სხვა დანარჩენი	37.8	1,0	41.4	1.1	44.5	1.1
სულ	1251.9	2,0	1333.4	2,0	1402.6	2,0

განვითარებადი ეკონომიკებისათვის დამახასიათებელია ისეთი პროდუქტის წარმოება, რომელსაც დაბალი დამატებითი ღირებულება გააჩნია. მსგავსი სიტუაციაა საქართველოში, სადაც შედარებით განვითარებულია დამამუშავებელი მრეწველობა (2016 წლის მონაცემებით დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის მთლიანი მრეწველობის გამოშვებული პროდუქტის 77,5%), რომელიც ძირითადად დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიის განვითარების და ინოვაციების დანერგვის დაბალი დონე.

საქართველოში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. 2010 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებზე დაიხარჯა 18 მლნ. დოლარი, რაც შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 0,16 პროცენტს, 2011 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენდა 23 მლნ. დოლარს და 0,16 პროცენტს, ხოლო 2012 წლის მონაცემებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებზე დაიხარჯა 35 მლნ. დოლარი, რაც შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 0,22 პროცენტს.

გლობალური ინოვაციების ინდექსი 2012 წლის ანგარიში საქართველოს 141 ქვეყანას შორის 71 ადგილი ეკავა 34,3 ქულით, ხოლო 2014 წლის ანგარიში უკვე 74 ადგილზეა 43,53 ქულით. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რეგიონის ქვეყნიდან სომხეთი 2012 წელს 34,5 ქულით 69-ე ადგილზე იყო, ხოლო 2014 წლის ანგარიში 36,02 ქულით 65-ე ადგილზეა, უკრაინამ 2012 წლის მსგავსად, 2014 წელსაც შეინარჩუნა 63 ადგილი. რაც შეეხება თურქეთსა და რუმინეთს – 2012 წელს თურქეთი 34,1 ქულით 74 ადგილზე იყო, ხოლო 2014 წელს ოცი საფეხურით წინ გადაადგილდა და 38,20 ქულით 54-ე ადგილზე, რუმინეთი 37,8 ქულით 2012 წელს 52-ე ადგილზე იყო, ხოლო 2014 წლისთვის 38,08 ქულით 55-ე ადგილზე, რუსეთის ფედერაცია 2012 წელს 51-ე ადგილზე 37,9 ქულით, ხოლო 2014 წელს 49-ე ადგილზეა 39,14 ქულით.

ინოვაციების ეფექტურობის ინდექსი 2012 წლის მონაცემებით საქართველო 0,64 ქულით 106-ე ადგილზეა, სომხეთი 0,76 ქულით 57 ადგილზეა, უკრაინა 0,90 ქულით 14-ე ადგილზე,

თურქეთი 40-ე ადგილზე 0,82 ქულით, რუსეთის ფედერაცია 43-ე ადგილზე 0,80 ქულით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 მიხედვით ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში არსებული მდგომარეობა ასე გამოიყურება:

„გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI) 2013-2014 წლების მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

- ❖ ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი – 118-ე ადგილი;

- ❖ კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) – 128-ე ადგილი.

დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს შემდეგი მაჩვენებლები აქვს:

- ❖ უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა – მე-100 ადგილი;

- ❖ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ – 117-ე ადგილი.

არადაამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განსახორციელებლად. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად არაერთი ღონისძიება გატარდა, მოსახლეობის მიერ ამ საშუალების გამოყენების მაჩვენებელი კვლავ არადაამაკმაყოფილებელია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (2013-2014) საქართველო შედარებით უკეთეს, თუმცა, კვლავ არასახარბიელო პოზიციაზეა:

- ❖ მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება – 71-ე ადგილი;

- ❖ 100 მოსახლეზე მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის ქსელზე ხელმისაწვდომობა – 65-ე ადგილი.

ქსელური მზადყოფნის ინდექსი (Networked Readiness Index – NRI) მიხედვით 2013 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა“ (2: 38).

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 მიხედვით ინოვაციებისა და ტექნოლოგიების

სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის მთავარ შედეგად მიიჩნევა: კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო წრეებსა და ბიზნესს შორის კავშირის გამყარება, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის არსებობა, ამის შედეგად, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ორიენტაცია (2: 41-42)

ცხრილი 3

მიზნები ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის (2: 40)

მაჩვენებელი	საბაზისო	2017	2020
ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი (KEI) (საქართველოს პოზიცია)	68	55	45
გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII) (საქართველოს პოზიცია)	73	65	60
ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა (TFP) (ყოველწლიური, %)	2.70	3.00	3.20
ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი (ICI)	44	40	36
გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი (GItI)	65	58	50

2016 წლის რეიტინგით გლობალური ინოვაციების ინდექსის სიის სათავეშია შვეიცარია, რომელიც უკვე 6 წელია რეიტინგის ლიდერია. მას მოსდევს შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ და ფინეთი. რაც შეეხება საქართველოს, 2016 წლის მონაცემებით, ქვეყანა გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში 64-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით საქართველოს რეიტინგი 9 პოზიციით

გაუმჯობესდა (2015 წელს ქვეყანა აღნიშნულ რეიტინგში 73-ე ადგილს იკავებდა) (14).

გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტებიდან საქართველოს ძლიერ მხარეებს შემდეგი კომპონენტები წარმოადგენს: ბიზნეს გარემო (ქვეყანა რეიტინგით მე-6 ადგილზეა) და ბაზრის განვითარების დონე (ქვეყანა რეიტინგით მე-7 ადგილზე), ხოლო სუსტ მხარეებს წარმოადგენს: განათლება (ქვეყანა რეიტინგით 115-ე ადგილზეა) კვლევა და განვითარება (ქვეყანა რეიტინგით 103-ე ადგილზეა), ინვესტიციები (ქვეყანა რეიტინგით 86-ე ადგილზეა) და დასაქმებულთა ცოდნის დონე (ქვეყანა რეიტინგით 91-ე ადგილზეა) (14).

აღსანიშნავია, რომ მთვრობის გეგმები ინოვაციური საქმიანობისა და შესაბამისი განათლების ხარისხი სიმაღლების მიმართულებით საკმაოდ ამბიციურია და 2020 წლისთვის KEI ინდექსით მსოფლიო ქვეყნების რეიტინგებში 67-დან 45-ე პოზიციამდე ჩამოსვლას ითვალისწინებს.

ამკარა, რომ ქვეყნები თანამედროვე პირობებში ეკონომიკის სწრაფ ზრდას აღწევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ორიენტირებული არიან თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარებაზე და ინოვაციების დანერგვაზე. შესწევთ უნარი მხარი აუბან მსოფლიო ეკონომიკური გარემოს ცვლილების იმ სიჩქარეს, რა სიჩქარიცაა ხდება ეს ცვლილებები სამყაროში. ამკარაა, რომ ცვლილების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც განაპირობა მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკის არასტაბილურობის მნიშვნელოვანი ზრდა. საქართველო და მსგავსი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ადგილობრივმა მთავრობებმა განვითარების ამ ეტაპზე მეტი ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაზე, გაზარდონ დაფინანსება ტექნოლოგიურ და ინოვაციური კვლევებზე, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას მიაღწიონ ბიზნესისა და ეკონომიკის ეფექტურ განვითარებას. განვითარებადი ეკონომიკებისათვის მისაღები ზრდის ტემპი 12-13%-ი უნდა იყოს.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უახლოეს პერიოდში თუ არ მოხდა ორნიშნის ზრდის უზრუნველყოფა, მაშინ დიდი ალბათობით ქვეყნის ეკონომიკა, და არა მარტო ეკონომიკა, აღმოჩნდება მეტად მძიმე მდგომარეობაში, რაც მნიშვნელოვნად გააზარდებს

ისედაც მძიმე სოციალურ პირობებს და მივიღებთ ფეთქებადსაშიშ მდგომარეობას, რაც რა თქმა უნდა, თავიდან უნდა იქნეს აცილებული აგრესიული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებით და რადიკალური რეფორმების გატარებით.

ორნიშნის ზრდის უზრუნველსაყოფად ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან ერთად მნიშვნელოვანია უახლოეს პერიოდში გაიზარდოს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5-2 პროცენტის ფარგლებში.

ხელი უნდა შეეწყოს ინოვაციებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას: რეგიონული განვითარების სააგენტოების, ტრანსფერების გადაცემის ცენტრების, ბიზნესინკუბატორების, ტექნოპარკების, სამეცნიერო პარკების განვითარება.

ბიბლიოგრაფია

References

1. Мейер К., Дэвис С., Живая организация, компания как живой организм: грядущая конвергенция информатики, нанотехнологии, биологии и бизнеса. Добрая книга. М: 2007.
2. საქართველოს მთავრობა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020.
3. The Global Innovation Index 2012 The Human Factor in Innovation. <http://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/economics/gii/gii-2012.pdf>
4. The Global Innovation Index 2014 The Human Factor in Innovation. <http://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/economics/gii/gii-2014.pdf>
5. <http://geostat.ge/?action=page&p=id=118&lang=geo>
6. <http://www.lerc.ru/?part=articles&art=30&page=6>
7. <https://ava.md/2011/06/08/naukometricheskiy-analiz-vzaimnogo-vliyaniya/>
8. <https://cyberleninka.ru/article/n/otsenka-stepeni-innovatsionnosti-struktury-natsionalnogo-obschestvennogo-proizvodstva>
9. <https://www.vestifinance.ru/articles/79342/print>
10. <http://ect-center.com/blog/rashodi-niokr>
11. <http://ecsocman.hse.ru/data/2015/05/25/1251201508/5-15-Kudrov.pdf>

12. <https://www.inovdev.ge/uploads/files/94261Shatberashvili-2-CD-Stat..pdf>

13. <https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/3.pdf>

14. <http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo>

15. <https://bpn.ge/index.php?option=com-content&view=article&id=7332:codnaze-dafudzhtepnebuli-ekonomikis-indeqsebith-saqarThvelo-somkheths-azerbaijansa-da-ukrainas-chamorcheba&catid=160:analizi&Itemid=65>

16. Нельсон Ричард Р., Уинтер Сидней Дж., Эволюционная теория экономических изменений. М: Издательство «ДЕЛО». 2002.

17. Медоуз Донелла Х., Медоуз Денис Л., Рандерс Йорген, За пределами роста, М: Издательство «ПРОГРЕСС», «ПАНГЕЯ».

მაია სოსელია

/ზსსუ ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი/

თამარ როსტიაშვილი

/ზსსუ ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი/

ინფორმაციული ნაკადები და რესურსები, როგორც მნიშვნელოვანი ინტეგრაციული ფაქტორები კონფლიქტური რეგიონებისათვის

ანოტაცია: მოცემულ ნაშრომში საინფორმაციო ნაკადები განიხილება კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ, ინტეგრაციულ პროცესებთან მიმართებით. იმ საშუალებებს, ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებს, რომლებითაც ოპერირებს რეგიონის მეურნე სუბიექტი, ჩვენ აღვიქვამთ, როგორც რეგიონის ლოგისტიკურ რესურსს.

ლოგისტიკის გამოყენება ქმნის წანამძღვრებს ინტეგრაციისთვის, რომელიც ბაზრის მოთხოვნილებების ადეკვატური იქნება და უზრუნველყოფს არა მხოლოდ რეგიონების ინტეგრირებულობასა და დაკავშირებულობას, არამედ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ერთგვაროვნებას.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ნაკადები, ინტეგრაციული ფაქტორები, ლოგისტიკა.

Maia Soselia

/Doctor of Economics, ZSSU Associate Professor/

Tamar Rostiashvili

/Doctor of Economics, ZSSU Associate Professor/

INFORMATION STREAMS AND RESOURCES AS IMPORTANT INTEGRATIVE FACTORS FOR CONFLICT REGIONS

Abstract: *In this paper, information streams are discussed in the conflict regions with ongoing socioeconomic and integrative processes. That issues, tools and technologies operated by the region's subjects, we perceive as the logistic resources. The use of logistics creates prerequisites for integrating market demand and not only regional and connectivity, but also contributing the uniformity of the country's economic space.*

Key words: *Information streams, Logistics, Integrative factors.*

ინფორმაციული ლოგისტიკა აქტიურ როლს ასრულებს ეკონომიკური ნაკადების ორგანიზაციაში, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კავშირების სრულყოფაში, მისი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებაში, ბუნებრივი და სხვა ეკონომიკური რესურსების გამოყენებაში, საქონლისა და მომსახურებების რეგიონალური ბაზრის განვითარებაში, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფასა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დონის, მთლიანად რეგიონის სამეურნეო სისტემის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ლოგისტიკის გამოყენება ქმნის წანამძღვრებს ინტეგრაციისთვის, რომელიც ბაზრის მოთხოვნილებების ადეკვატური იქნება და უზრუნველყოფს არა მხოლოდ რეგიონების ინტეგრირებულობასა და დაკავშირებულობას, არამედ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური სივრცის ერთგვაროვნებას.

კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით მიმდინარე ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების შესასწავლად სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარდა კვლევები ორმხრივი ეკონომიკური ინტერესების პოტენციალის გამოსავლენად კონფლიქტის მოგვარების მიზნით. კვლევაში აღნიშნულია: „...უსაფრთხოებასთან დაკავშირებით თემების წევრები აღნიშნავენ, რომ არასტაბილურობისა და საფრთხის გრძნობას ძირითადად ინფორმაციის ნაკლებობა წარმოშობს.“ ანალიზისა და წინადადებების საფუძველზე, რაც გამოხატავს კვლევის მონაწილეთა ფართო სპექტრის აზრებსა და შეხედულებებს, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია განსაზღვრული რეკომენდაციები. არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში ეს რეკომენდაციები შეიძლება გახდეს ნდობის აღდგენის პროცესის გზამკვლევი. ერთ-ერთ რეკომენდაციაში აღნიშნულია: „ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას ინფორმაციის დეფიციტის პრობლემა, განსაკუთრებით რეგიონებში, ინფორმაციის უფრო ხშირი მიწოდებისა და მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხებზე განმარტებების გზით. მოქალაქეებისთვის მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს საქართველოს, არ არის საკმარისი. საჭიროა დამატებითი დეტალების მიწოდება დახმარების პროგრამებისა და პოლიტიკური პროცესების შესახებ. ამავე დროს, საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია საკუთარი

წვლილი შეიტანოს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაში პროაქტიური საინფორმაციო კამპანიების მოწყობით საკუთარი როლისა და ინტერესების შესახებ, არა მარტო დედაქალაქში ან დიდ ქალაქებში, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც. (წყარო: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი „დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია“ (საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზი, „2011 წლის ივლისი-სექტემბერი)).

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ინფორმაციული ნაკადები და რესურსები განგვეხილა როგორც მნიშვნელოვანი ინტეგრაციული ფაქტორები, კონფლიქტური რეგიონებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეგიონების უმნიშვნელოვანეს ინტეგრაციულ ფაქტორად გვევლინება მათი ინფორმაციული ურთიერთდაკავშირებულობა. თუ განვიხილავთ ინფორმაციულ მდგენელს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებით, შეგვიძლია დაბეჭდვით აღვნიშნოთ, რომ ამჟამად რეგიონის საინფორმაციო ბაზარს არ გააჩნია ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გაყიდვის დამუშავებული მექანიზმი. ადგილი აქვს ინფორმაციის ასიმეტრიულობას, მაღალია მათი მიღების ტრანზაქციული ხარჯები. ბაზრის კონიუნქტურის ინდექსები, ფასების, ვალუტის კურსის, ბაზრის მოცულობების, ეკონომიკური ზრდის ფაქტორებისა და პერსპექტივების პროგნოზები – მენარმეთა ქცევის, ყველა ეს საინფორმაციო ბლოკი ჯერჯერობით ძალზე ქაოსტიკურია და რყევითი ხასიათი აქვს.

ეს ხდება კონფლიქტურ რეგიონებში საქმის ვითარების შესახებ სარწმუნო და სრული (კომპლექსური) ინფორმაციის არქონის გამო. აღნიშნული ვითარების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ყოველი უწყება იღებს და ამუშავებს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ეხება მის სპეციფიკას და არა აქვს შესაძლებლობა თვალი ადევნოს და კოორდინაცია გაუწიოს მატერიალურ, ფინანსურ და სერვისულ ნაკადებს კონფლიქტური რეგიონის ფარგლებში.

ლოგისტიკის ინსტრუმენტარიუმის გამოყენებით ინფორმაციული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ინფორმაციული ნაკადების მონესრიგება შესაძლებლობას მოგვცემს გადავხედოთ მმართველობით გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ

კონფლიქტური რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას.

ლოგისტიკის პრაქტიკული გამოყენების პოზიტიური შედეგები რეგიონთაშორისი სამეურნეო კავშირების სფეროში შეინიშნება დასავლეთის რიგ ქვეყნებში. ასე, მაგალითად, გერმანიაში საქონელგაცვლითი ოპერაციების ორგანიზაციისას განსაკუთრებული როლი ეკისრება ლოგისტიკურ ცენტრებს. მათი ჩამოყალიბებით შეიქმნა ისეთი პირობები, რომლის დროსაც სანარმოთა ნახევარზე მეტს განზრახული აქვს უარის თქმა საკუთარ ამწე სატრანსპორტო საშუალებებზე. აშშ-ის ლოგისტიკურ სისტემებში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საერთო სარგებლობის საწყობებს. ამის შედეგად მომხმარებელთა ხარჯები აღნიშნული საწყობების მომსახურებაზე – პროდუქციის შენახვაზე, მომზადებაზე, გაგზავნასა და ჩამოტვირთვაზე მცირდება 15 %-ით. ლოგისტიკასთან დაკავშირებულია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მეპ-ის 20-30 %. დადგენილია, რომ ლოგისტიკური ხარჯების 1 %-ით შემცირება გაყიდვების მოცულობის 10 %-იანი მატების ეკვივალენტურია.

ლოგისტიკის გამოყენების შესაძლებლობები ქვეყნის რეგიონების ინტეგრაციული პროცესების აქტივიზაციის მიზნით არანაკლებია და საქონლისა და მომსახურებების ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ მნიშვნელოვანი ეფექტი რეგიონებს შორის სამეურნეო კავშირების ორგანიზაციასა და დაგეგმვასთან დაკავშირებული დანაკარგების შემცირებიდან.

აღნიშნავენ ლოგისტიკის ახალ ეფექტიან ნიშნებს, რომლებიც მან შეიძინა მისი გამოყენების ტრადიციული სფეროების შერწყმის შედეგად, რომელმაც შექმნა თვისებრივად ახალი სისტემა – ინტეგრირებული ლოგისტიკა. ინტეგრირებულ ლოგისტიკაში ყველაზე რელიეფურად ვლინდება ლოგისტიკური პროცესების სიმნიფის ახალი საფეხური.


ინტეგრირებული ლოგისტიკა მოიცავს და აერთიანებს ერთ პროცესად საქმიანობის ისეთ სახეებს, როგორიცაა ინფორმაციული მიმოცვლა, ტრანსპორტირება, მარაგების, სასაწყობო მეურნეობის, ტვირთის გადამუშავებისა და შეფუთვის მართვა. იგი ეფუძნება სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს საქმიანობის

ყველა სახეს, რომელიც დაკავშირებულია საწარმოში ან საგარეო ლოგისტიკურ ჯაჭვში მიმდინარე ლოგისტიკური სამეურნეო-ეკონომიკური პროცესების დაგეგმვასა და მართვასთან. ამასთან, ტვირთის გამგზავნა და მიმღებს, ლოგისტიკურ ოპერატორებს, სერვისული მომსახურებების მომხმარებელ საწარმოებს შორის ურთიერთქმედების საკითხები განიხილება ლოგისტიკის საერთო რესურსების შექმნის, მათი ეფექტიანი და შედეგიანი გამოყენების კონტექსტში.

ზემოთ აღნიშნულ მიდგომებში ინფორმაციული ნაკადები განიხილება როგორც სასაქონლო-მატერიალური ნაკადის თანმხლები, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ეთანხმება პროფესორ ვ.ი. სერგაევის მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას, რომ „ლოგისტიკური პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფის მნიშვნელობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მრავალი სპეციალისტი გამოყოფს განსაკუთრებულ საინფორმაციო ლოგისტიკას, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს ბიზნესსა და ინფორმაციული ნაკადებისა და რესურსების მართვაში“.

ინფორმაციულ ნაკადში იგულისხმება შეტყობინებათა ნაკადი ზეპირმეტყველებითი, დოკუმენტური (ქაღალდის მატარებლებზე, ელექტრონული) და სხვა ფორმით, რომელიც გენერირდება ამოსავალი მატერიალური ნაკადით განსახილველ ლოგისტიკურ სისტემაში (ლს) ლოგისტიკური სისტემის რგოლებს (ლსრ) ან ლსსა და გარემოს შორის და გათვალისწინებულია მმართველობითი ფუნქციების რეალიზაციისათვის.

რიგ შემთხვევებში საინფორმაციო ნაკადს ახასიათებენ, როგორც ლოგისტიკურ სისტემაში მიმოქცევად ერთობლიობას ლოგისტიკურ სისტემასა და გარეშე გარემოს შორის, რომელიც აუცილებელია ლოგისტიკური ოპერაციების მართვისა და კონტროლისათვის. ჩვენი შეხედულებით, ვ.ი. სერგაევის მიერ შემუშავებული საინფორმაციო ნაკადების კლასიფიკაცია უფრო სრულყოფილია (ნახ.1).



ნახ. 1. საინფორმაციო ნაკადების კლასიფიკაცია

საინფორმაციო ნაკადების როლის ზრდა თანამედროვე ლოგისტიკაში განპირობებულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით. ჯერ ერთი, მომხმარებლისთვის ინფორმაცია შეკვეთის სტატუსის, საქონლის ქონა-არქონის, მიწოდების ვადების, ჩასატვირთი დოკუმენტების და ა.შ. შესახებ სამომხმარებლო ლოგისტიკური სერვისის აუცილებელი ელემენტია. მეორე, მარაგების მართვის პოზიციიდან ლოგისტიკურ ჯაჭვში სრული და სარწმუნო ინფორმაციის არსებობა შესაძლებლობას გვაძლევს შევამციროთ მოთხოვნილება მარაგებსა და შრომით რესურსებზე მოთხოვნაზე გაურკვევლობის შემცირების ხარჯზე. და ბოლოს, მესამე, ინფორმაცია ზრდის ლს-ს მოქნილობას იმ მიმართულებით თუ როგორ, სად და როგორ შეიძლება გამოვიყენოთ რესურსები კონკურენტული უპირატესობების მისაღწევად.

კონფლიქტურ რეგიონების პოტენციალი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ზრდის წერტილები, ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო ბაზარს, რაც პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ინტეგრაციისაკენ. პრიორიტეტულ მიმართულებებად შეიძლება გამოვყოთ:

1. სავაჭრო თანამშრომლობა.
2. ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შექმნა საგარეო ბაზარზე გასასვლელად.
3. საკურორტო-რეკრეაციული კომპლექსი
4. წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
5. მინერალებისა და ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენება.
6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთიანი ბაზრის შექმნა.
7. კომუნიკაციის თანამედროვე სისტემების შექმნა.
8. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა.

ლოგისტიკის საინფორმაციო რესურსები შეიძლება განვმარტოთ როგორც ლოგისტიკური ინფორმაციის არსებული მოცულობა, ინფორმაციულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების (იკტ) ინფრასტრუქტურა (იტ, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული კომუნიკაციები), მათი სისტემური ურთიერთქმედება და ეფექტიანი გამოყენება.

კონფლიქტური რეგიონებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მოითხოვს პირობების შექმნას ბაზრის ინფრასტრუქტურის მომსახურე სამრეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანიების გასაერთიანებლად ინტეგრირებულ ლოგისტიკურ ჯაჭვებსა და ქსელებში.

რეგიონების ინტეგრაციის ერთიანი ლოგისტიკური საინფორმაციო სისტემის შექმნა უზრუნველყოფს:

- კონფლიქტური რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას, მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლებას ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის ხარჯზე;

- მაკროლოგისტიკური სისტემების ფუნქციონირებიდან და სამომხმარებლო ბაზრის გაფართოებისგან საბიუჯეტო შემოსულობების გადიდება;

- მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის ამაღლებას, მომსახურების ხარისხის მიახლოებას მსოფლიო სტანდარტებთან თანამედროვე ინტეგრირებული ლოგისტიკური ტექნოლოგიების დანერგვისა და რეგიონალური საწარმო-ტექნიკური ბაზის განვითარების ხარჯზე;

- ბაზრის მონიტორინგის, კონტროლისა და რეგულირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას;

- საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარებას შექმნილ მაკროლოგისტიკურ სისტემაში უცხოური ინვესტიციებისა და პარტნიორების მოზიდვის, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების ინფორმაციულ-ლოგისტიკური მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფის ხარჯზე;

- სამამულო მწარმოებლებისა და ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საინფორმაციო ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე;

- რეგიონალური მატერიალური, ფინანსური, სერვისული ნაკადების რაციონალურ რეგულირებას;

- ერთიანი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზისა და გარანტიების სისტემის შექმნას (მ.შ. ლოგისტიკური რისკების დაზღვევას) სამამულო და უცხოური საქონელმწარმოებლებისთვის.

კონფლიქტური რეგიონის ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი გულისხმობს ტექნიკურად აღჭურვილი სავაჭრო-

სასაწყობო კომპლექსების, საინფორმაციო ქსელების, პროგრესული საშუალებების არსებობის აუცილებლობას, საფინანსო-საკრედიტო გაანგარიშებების წარმოებას და ა.შ.

მოცემული ინფრასტრუქტურის შექმნა და მაღალეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა დაკავშირებულია მსხვილმატერიალურ და შრომით დანახარჯებთან, ეს მოითხოვს ინფრასტრუქტურის მდგომარეობის, განვითარებისა და გამოყენების მუდმივ შესწავლას. ლოგისტიკური საინფორმაციო სისტემა შესაძლებლობას მოგვცემს ვანარმოთ ინფრასტრუქტურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყველა ელემენტის არსებობისა და მდგომარეობის აღრიცხვა, განვსაზღვროთ მისი განვითარების ტენდენციები, დავახსიანოთ ინფრასტრუქტურული ელემენტების გამოყენების ეფექტიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ-ეკონომიკურ ქრილში კონფლიქტური რეგიონის სუბიექტები ვერ იქნება განხილული როგორც სამეურნეო ერთეულების ან მეურნეობის სხვადასხვა დარგების მექანიკური შერწყმა. წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ რთულდება შიდა და გარე კავშირები. ეს პროცესები თანდათანობით აქცევენ მეურნეობას რთულ მრავალდარგოვან კომპლექსად, რომლის ცალკეული მდგენელები მუდმივად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. მათ ასევე აერთიანებთ განვითარების ამოცანების ერთიანობა, რომელიც განისაზღვრება კომპლექსის ფუნქციებით შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში. იმავდროულად იზრდება საერთოსახელმწიფოებრივი ხასიათის ამოცანების უზრუნველყოფის მნიშვნელობა, რაც მოითხოვს დამატებითი და მომსახურე წარმოებების, პირველ რიგში კი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურების შექმნასა და განვითარებას.

დასკვნა. კონფლიქტური რეგიონებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მოითხოვს პირობების შექმნას ბაზრის ინფრასტრუქტურის მომსახურე სამრეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო-საექსპედიტორო კომპანიების გასაერთიანებლად ინტეგრირებულ ლოგისტიკურ ჯაჭვებსა და ქსელებში.

რეგიონის ერთიანი საინფორმაციო სივრცე წარმოადგენს რეგიონის მართვის შემადგენელ ნაწილს და ასრულებს მაინტეგრირებელ როლს, ზრდის დარგობრივი და ტერიტორიული ამოცანების უფრო რაციონალური გადანაწევრების პოტენციურ შესაძლებლობებს.

ბიბლიოგრაფია References

1. „სადავო საზღვრების გავლით მიმდინარე ვაჭრობის რეგულირება. ჩინეთი-ტაივანის, სერბეთ-კოსოვოსა და კვიპროსის მაგალითები“ 2015 წ. ნ. მირიმანოვა, პ. ბიელიჩი, ქ. ბაიკალი, იაო მინ ჰსუ, შ. კურსანი, ლ. პასქალიდეს, ბ. თაქი.

2. „საქართველოს მთავრობა“. სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ. ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი „დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია (საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზი) „2011 წლის ივლისი-სექტემბერი)

3. Mirimanova (2006). „ადგილობრივი ბიზნესი, ადგილობრივი მშვიდობა: შიდა კერძო სექტორის სამშვიდობო პოტენციალი. კავკასიის კაზუსი. ლონდონი: International Alert.).

ლიკა ბერიძე

/სტუ ასოც. პროფესორი/

ბელა გოდერძიშვილი

/სტუ ასოც. პროფესორი/

ქეთევან ლატარია

/ზსსუ ასოც. პროფესორი/

Lika Beridze

/GTU Assoc. Professor/

Bela Goderdzishvili

/GTU Assoc. Professor/

Qetevan Lataria

/ZSSU Assoc. Professor/

უმუშევრობა და მისი ნეგატიური შედეგები საქართველოში

UNEMPLOYMENT AND ITS NEGATIVE CONSEQUENCES IN GEORGIA

ანოტაცია: ნაშრომი აჩვენებს უმუშევრობის შედეგებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. გლობალიზაციის და საერთაშორისო ინტეგრაციის გათვალისწინებით, ხანგრძლივი უმუშევრობა, სიღარიბის შემცირება და ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება არის უპირველესი საკითხები, რომელიც საქართველოს წინაშეა. ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცხოვრობს სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა, რომელიც გამოწვეულია უმუშევრობით.

კვლევა მიზნად ისახავს შეაფასოს უმუშევრობა, როგორც მაკროეკონომიკური პრობლემის ანალიზი, რათა გაარჩიოს მისი ძირითადი ფორმები, სადაც გათვალისწინებული იქნება უმუშევრობის შეფასების საზომი და მასზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები; აგრეთვე უმუშევრობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესწავლა უმუშევრობის მაგნიტუდით, დინამიკით და სტრუქტურით საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, მოთხოვნა, მარაგი, შრომის ბაზარი, დასაქმება.

Abstract: The paper covers the effect of the unemployment on Social-Economic development of Georgia. In light of the Globalization and International Intergration chronic unemployment, reduction of poverty and improvement of living standards are the primary issues that Georgia faces. Significant part of the country's populations still leaves beyond the official limit of poverty that is primary caused by the unemployment.

The study aims to measure unemployment, as a macroeconomic problem analysis, to distinguish its basic forms, consider unemployment valuation metrics, as well as the factors influencing it, besides to study the negative effects caused by an unemployment and the magnitude of unemployment, dynamics and structure in Georgia.

Key words: Unemployment, Demand, Supply, Labour market, Employment.

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის თანმხლები სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. უმუშევრობის პირობებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი ვერ იყენებს თავის სამუშაო ძალას. შრომის ბაზარზე დარღვეულია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობა – სამუშაო ძალის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას.

უმუშევრობა აქტუალურია საქართველოშიც. სოციოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ უმუშევრობა არის უმთავრესი პრობლემა ქართული საზოგადოებისათვის სიღარიბესთან ერთად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ამ უკანასკნელს და მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზია. უმუშევრობა რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა – საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიაშიაც დასტურდება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში. ყველაზე დიდ სოციალურ რისკებს კი ის ზრდის, რომ უმუშევარ მოსახლეობას შორის ახალგაზრდობაა დომინანტი“.

უმუშევრობა საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის მოსახლეობას, ასევე სახელმწიფოს, რადგან უმუშევრობის პირობებში წარმოქმნილ პრობლემების მოგვარება საკმაოდ რთულია და დიდ ხარჯებს უკავშირდება, რაც სახელმწიფოს ტვირთად აწევბა. უმუშევრობის საერთოდ აღმოფხვრა მიუღწევადია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვისაც კი. მისი გარკვეული დონით არსებობა განიხილება როგორც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ორგანული შემადგენელი ელემენტი. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე განიხილება უმუშევრობის ბუნებრივი დონის ცნება. მასში იგულისხმება შრომის ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როცა არსებული ვაკანსიების რაოდენობა მიახლოებით ემთხვევა უმუშევართა რაოდენობას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უმუშევრების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობა სრულ შესაბამისობაშია არსებულ ვაკანსიებთან.

უმუშევრობისა და დასაქმების, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის ანალიზისათვის, საჭიროა მათი არა მარტო თვისობრივი დახასიათება, არამედ რაოდენობრივი შეფასებაც, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემის საშუალებით. უმუშევრობის ძირითად

მაჩვენებლებს მიეკუთვნება: უმუშევრების რიცხოვნობა, უმუშევრობის დონე და ხანგრძლივობა, უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი, პროფესიულ-დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა.

უმუშევართა რაოდენობის დადგენის ორი მეთოდოლოგიური მიდგომა არსებობს: 1. უმუშევრობის მაჩვენებლები დგინდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე, რაც პერიოდულად ტარდება (აშშ, იაპონია). 2. უმუშევრობის მაჩვენებლები დგინდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში უმუშევრის სტატუსის მოსაპოვებლად შემოსული განცხადებების საფუძველზე (მაგ. დიდი ბრიტანეთი).

პირველი მიდგომა, რომელიც პერიოდულ შერჩევით გამოკვლევას ითვალისწინებს, უფრო ძვირადღირებულია, მაგრამ შედარებით ზუსტად ასახავს უმუშევართა სტრუქტურას; რაც შეეხება მეორე მიდგომას, იგი შედარებით მარტივია, მაგრამ უმუშევრების თვისობრივი შემადგენლობის დაზუსტების თვალსაზრისით, მოითხოვს დამატებითი კონტროლის ღონისძიებების გატარებას იმ პირების ქცევაზე, რომლებიც საკუთარ თავს უმუშევართა კატეგორიას აკუთვნებენ.

უმუშევრობის მდგომარეობის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ფართოდაა გავრცელებული უმუშევრობის დონე, რომელიც გაიანგარიშება შემდეგნაირად: $U_d = U_r / S_r \times 100$, სადაც U_d უმუშევრობის დონეა (%-ებში), U_r უმუშევართა რაოდენობაა და S_r ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაა.

შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზისათვის ხშირად გამოიყენება ასევე შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს ერთ ვაკანტურ სამუშაო ადგილზე უმუშევრების რაოდენობას. შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტი გაიანგარიშება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით ვაკანტური სამუშაო ადგილების რაოდენობასთან.

საერთაშორისო სტატისტიკაში ფართოდაა გავრცელებული მოსახლეობის დასაქმების დონის მაჩვენებელი, რომელიც იანგარიშება, როგორც დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდება 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან: $D_d = D_r / S_{\geq 15} \times 100\%$, სადაც D_d დასაქმების დონეა (%-ებში), D_r დასაქმებულთა რაოდენობაა და $S_{\geq 15}$ 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს სამუშაო ძალის სტატისტიკას შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის საფუძველზე. გამოკვლევა მიმდინარეობს ყოველკვარტალურად, რომლის დროსაც ხორციელდება დაახლოებით 3400 შინამეურნეობის 15 წლის და უფროსი ასაკის წევრების გამოკითხვა, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვის და მეტი პერიოდის განმავლობაში; სამხედრო პირებისა, რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში და საპატიომროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებში და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაეროს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით.

დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, აგრეთვე მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით ეწევა გარკვეულ საქმიანობას.

თვითდასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი რომ მას ჰქონდეს ხანგრძლივადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა ისინი ეძებდნენ დამატებით სხვა სამსახურს, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს ის დასაქმებულად უნდა


ჩაითვალოს. თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ მეურნეობაში.

შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და უმუშევრობის შემცირება საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის საკვანძო პრობლემაა. დასაქმების დაბალი დონე განაპირობებს საოჯახო მეურნეობების შემოსავლების დაბალ დონეს და მრავალ ნეგატიურ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგს უკავშირდება.

შრომის ბაზრის მდგომარეობის ანალიზისათვის ფართოდ გამოიყენება უმუშევრობის სქესობრივ-ასაკობრივი, პროფესიულ-დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა, რომელიც ახასიათებს ცალკეული ასაკის, სქესის, პროფესიისა და ტერიტორიული კუთვნილების უმუშევრების ხვედრით წონას უმუშევართა საერთო რაოდენობაში. უმუშევრობის პრობლემა გაცილებით უფრო მტკივნეულია საქართველოს მოსახლეობისათვის, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს (იხ. ნახ. 1).

2016 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანთა ასაკის მოსახლეობის 67.5 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე შემცირდა 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე – 0.2 პროცენტული პუნქტით.

2015 წელს 2014 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონის შემცირება დაფიქსირდა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში და შესაბამისად, 21.5 და 4.8 პროცენტი შეადგინა (იხ. ნახ. 2). ამასთან, ქალაქად უმუშევრობის დონემ მინიმალურ მაჩვენებელს მიაღწია ბოლო 15 წლის, ხოლო სოფლად – ბოლო 9 წლის მანძილზე. 2016 წელს 2015 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირდა 0.4 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში, პირიქით, გაიზარდა 0.2 პროცენტული პუნქტით. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 0.6 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი.



ნახ. 1

ნახ. 2

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სექსობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2015 წელს 2014 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე შემცირდა როგორც ქალებში (0.2 პროცენტული პუნქტით), ასევე კაცებში (0.5 პროცენტული პუნქტით).


2016 წელს 2015 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე ქალებში შემცირდა 1.4 პროცენტული პუნქტით, კაცებში კი პირიქით 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 8.8 და 14.2 პროცენტი შეადგინა. ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზი არის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 42.0 და 21.8 პროცენტი). ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების დონე (იხ. ნახ.3)

უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (31.9 პროცენტი), რაც 5.7 პროცენტული პუნქტით მაღალია 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით (იხ. ნახ. 4)

უმუშევრობაზე საუბრისას, მეცნიერები ყურადღებას აქცევენ შრომისუნარიან უმუშევართა განათლების დონეს. 2010 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით. უმუშევართა 81%-

ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ეს ნიშნავს იმას, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს.

შრომის ბაზრის რეგულირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია შრომის ანაზღაურების (ხელფასის) მოცულობაც. რაც მეტია ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ადამიანების წილი, მით მეტია ბაზარზე მაღალხელფასიან სამუშაო ადგილებზე მოთხოვნა.



ნახ. 3

ნახ. 4

ხელფასის დაბალი დონის პირობებში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ნაკლებად მიმართავენ შრომის ბირჟას, რაც ბუნებრივია ხელოვნურად ზრდის უმუშევართა რიცხოვნობას. საქართველოში, ბოლო პერიოდში, აშკარა ზრდის ტენდენცია აქვს დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურების ზრდას (იხ. ცხრილი 1)

ცხრ. 1 საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი

წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საშ. თვ. ნომინალური ხელფასი, ლ.	156.6	204.2	277.9	368.1	534.9	556.8	597.6	636.0	712.5	773.1	818.0	900.4

მიუხედავად შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპებისა, მისი საშუალო სიდიდე მნიშვნელოვნად ჩამორჩება არათუ განვითარებულ ქვეყნებში საშუალო ხელფასის, არამედ პოსტსაბჭოური ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. რუსეთის ფედერაციაში იგი 500 აშშ დოლარს აღემატება, აზერბაიჯანში 400-ს, ხოლო სომხეთში 300 აშშ დოლარს.

ადამიანის მიერ საკუთარი უმუშევრობის აღქმა ხშირად არ ემთხვევა ოფიციალური სტატისტიკური მეთოდოლოგიით განსაზღვრულ უმუშევრობას. პირი, რომელსაც სასურველი სამსახური არა აქვს, მაგრამ მუშაობს, თვლის, რომ უმუშევარია. ასევე მიაჩნია, თუკი უმაღლესი განათლება აქვს და შესაფერის ადგილზე არ მუშაობს. უმუშევრად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთ საათსაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში. შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსის მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთ საათს მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგებისა და ა.შ.) მიღების მიზნით, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, დასაქმებულად ითვლებიან. რადგან საქართველოში უმუშევრობის დახმარება არ არის, უმუშევრობის სტატისტიკას მხოლოდ ეკონომიკური სიტუაციის ანალიზის დანიშნულება აქვს.

საქართველოს 2014 წლის უმუშევრობის დონეს თუ შევადარებთ ევროკავშირის ქვეყნების იმავე წლის უმუშევრობის დონეს, აღმოჩნდება, რომ ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 8-ში უფრო მაღალი უმუშევრობაა, ვიდრე საქართველოში. საქართველოს შედარებით დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია უმუშევრობის დახმარების არარსებობით, მინიმალური ხელფასის ქვედა ზღვრის ფაქტობრივად არარსებობითა და სოფლის მოსახლეობაში არსებული დაბალი უმუშევრობის დონით. ვინც სოფელში მინაზე შრომობს ან მეცხოველეობას ეწევა, ყველა დასაქმებულად ითვლება. სოფლის მოსახლეობის წილი კი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში დაახლოებით 45%-ია. ოფიციალური სტატისტიკით, სოფელში უმუშევრობის დონე 5.4%-ია, ხოლო ქალაქში – 22.1%.

ოფიციალური მეთოდოლოგიით 1,7 მილიონი ადამიანი ითვლება დასაქმებულად და 246 ათასი უმუშევრად, მაგრამ თუ განვიხილავთ შიდა შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა რიცხვს, სამსახურს ეძებს არა მხოლოდ 246 ათასი კაცი, არამედ თვითდასაქმებულების უმეტესობაც, რომლებიც სასურველი სამსახურის პოვნამდე სხვადასხვა გზით ცდილობენ შემოსავლის მიღებას. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2015 წლის მაისის სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 67% ყველაზე პრობლემატურ საკითხად სამუშაო ადგილების უკმარისობას მიიჩნევს. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 66% თავს დაუსაქმებლად თვლის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიხედვით კი 2014 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე (უმუშევრების პროცენტული რაოდენობა სამუშაო ძალაში) 12.4% იყო.

ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა. უმუშევრობის უარყოფითი შედეგები და მისი გავლენის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, სოციალური მდგომარეობის კონკრეტულ პარამეტრებზე.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების პირობებში სულ უფრო მეტად პრობლემატური ხდება უმუშევრობა, დასაქმების სტრუქტურული და რეგიონული დისპროპორციების გაღრმავება, კვალიფიციური სამუშაო ძალის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადინება, მოსახლეობის რეალური შემოსავლების შემცირება. ეს პრობლემები უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის არამართო ეკონომიკურ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაზე და ზოგჯერ სოციალური აფეთქების განმაპირობებელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. უმუშევარი ადამიანი გამოუყენებელი სამუშაო ძალაა და მისი გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა დამატებითი პროდუქციის წარმოება. გარდა ამისა, ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგადაც. განვითარებულ ქვეყნებში და ზოგ განვითარებადშიც, ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის

კომპენსაციის გადახდა უწევს. საქართველოში ეს კომპენსაცია არ გაიცემა. უმუშევრები მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ვარდებიან და გარდა ამისა მათი უნარ-ჩვევები, გამოუყენებლობის გამო, რეგრესირებს. ამავე დროს, გრძელვადიანი უმუშევრობა სამუშაოსადმი მოტივაციას ამცირებს. ამ ყველაფერს კი უმუშევრობის ფსიქოლოგიურ ხარჯებთან მივყავართ, რომელსაც უმუშევარი ხალხი და მათი ოჯახები იმ სტრესის სახით განიცდიან, რასაც ეკონომიური გაჭირვება და შემოსავლის დაკარგვა იწვევს. უმუშევრობის უარყოფითი სოციალური შედეგები განსაკუთრებული ფორმით გამოვლინდა საქართველოში. ეკონომიკური რეფორმების დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში უკვე შეიმჩნეოდა კავშირი უმუშევრობასა და ისეთ მოვლენებს შორის როგორიცაა: საზოგადოებაში მორალის დაცემა, დაავადებების, თვითმკვლელობების და სიკვდილიანობის მაჩვენებლების ზრდა, ქორწინების და შობადობის რიცხვის შემცირება და ა.შ. უმუშევრობა თავის უარყოფით კვალს ტოვებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მოკვდაობის მიზეზებიდან მატულობს სისხლის მიმოქცევის სისტემის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, სუნთქვის ორგანოების დაავადებებით გარდაცვლილთა რაოდენობა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, არასრულფასოვან კვებას, ნერვულ დაძაბულობას, უიმედობას და სხვა არაჯანსაღ მოვლენებს უკავშირდება.

უმუშევრობის ნეგატიურ შედეგებზე მსჯელობა შეიძლება მისი ხანგრძლივობის მიხედვითაც. საქართველოში შრომისუნარიანმა მოქალაქემ, რომელსაც სურს მუშაობა, შეიძლება წლების განმავლობაში ვერ იშოვოს მისი პროფესიის შესაბამისი სამუშაო. უმუშევრობის ხანგრძლივი პერიოდი ამცირებს მომუშავეს პროფესიულ-კვალიფიციური ცოდნის დონეს, ასეთ პიროვნებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება სამუშაოზე ხელმეორედ ადაპტაციისათვის.

ბიბლიოგრაფია References

1. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. 2013 წლის 2 აგვისტო. ქ. თბილისი.

2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №733 2014 წლის 26 დეკემბერი ქ.თბილისი. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №400 2014 წლის 17 ივნისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე, ქ. თბილისი, 2014 წლის 17 ივნისი.

რეკლამა და მისი რეგულირების აუცილებლობა

ანოტაცია: ნაშრომი ეხება რეკლამის, როგორც ბიზნესის განუყოფელი ნაწილის შესწავლას, თუმცა ძირითადი შეფასებების საგან განსხვავებით, მეტი ყურადღება ეთმობა მომხმარებლის ფსიქოლოგიაზე რეკლამის ურყოფითი გავლენის შეზღუდვას, გამოთქმულია მოსაზრებები ამ მიმართულებით. დასმულია მომხმარებლის მეტი ინფორმირებულობის აუცილებლობა ამ საკითხში.

რეკლამა უდავოდ არის სასარგებლო რამ, მაგრამ ამავე დროს მას შეუძლია ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკაზე; ამიტომაც არსებობს მისი რეგულირების აუცილებლობა. რეკლამის გარშემო არსებული დისკუსიების საგანია ის, თუ რამდენად სასარგებლოა რეკლამა იმ სახეებით, რითაც ჩვენს ყოფაში შემოიჭრა. გვანვდის თუ არა რეკლამა სწორ, უტყუარ ინფორმაციას, თუ ის ძირითადად მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებაა. მიუხედავად კრიტიკული მოსაზრებებისა, მისი ეკონომიკური როლი გაცილებით მეტია, ვიდრე ნეგატიური ასპექტები. რეკლამა მთელი ეკონომიკის ფუნქციონირებაზე დიდი ზემოქმედების მქონე ძალაა, ის ასრულებს ეკონომიკური ზრდის სტიმულატორის როლს. სარეკლამო საქმის რეგულირების აუცილებლობა გამომწვეულია მომხმარებლის ინტერესების დაცვით, ადამიანის ფსიქოლოგიაზე რეკლამის არაკეთილსინდისიერი გავლენის შეზღუდვით.

ამოსავალი სიტყვები: რეკლამა; არაეთიკური რეკლამა; კონკურენცია, სტიმულირება, რეგულირება.

Advertisement and Necessity of its Regulation

Abstract: The work is about studying advertisement as an indivisible part of the business. But unlike the basic appraisals, more attention is paid to restriction of the negative influence of advertisement on consumers' psychology. Opinions are expressed by this way. shows that there is necessity of consumers to be more informed this issue.

There is no doubt about necessity of advertisement, it is useful but on the other hand, It can affect negatively on person's psychics. Because of this there is a need for its regulation. The main subject of discussion is if it is useful or not to have such advertisements which exist in our real lives. Does advertisement give us authentic information? Or is it a main instrument to impact psychologically on people? Despite of critical opinions, its economic role is more important than negative aspect. An advertisement is a power which has a big influence on economic functioning. It has a role of stimulator on the process of economic growth.

Regulation of advertisement is called up to defence interests of consumers and to limit unconscious influence of advertisement on human psychology.

But in spite of regulating, mainly the consumer has to save itself. We think that it is appropriate to create an authority which would have conformable principals and work on advertising problems in the country. There would be hot line which would react on consumer's information to suppress a problem.

Key words: Advertisement, non-ethical advertisement, competition, stimulus.

რეკლამა წარმატებული ბიზნესის და თითოეული ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია; აღნიშნული თემა აქტუალურია საქართველოში, რამდენადაც სარეკლამო საქმიანობის გამოცოცხლება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. მართალია, დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში არც ისე ცოტა გამოცდილება დაგვიგროვდა, თუმცა საჭიროა მომხმარებლის მეტი ინფორმირებულობა ამ საკითხში. განსაკუთრებით საინტერესოა პასუხის გაცემა კითხვაზე: რამდენად ეთიკურია რეკლამა იმ სახით და ფორმებით, რითაც ის ჩვენს ყოველდღიურობაში შემოიჭრა, როგორია მისი სოციალური და ეკონომიკური გავლენა საზოგადოებაზე? ამ საკითხებში არსებული პოზიციების ძირითადი ნაწილი უკავშირდება რეკლამის დადებითი მხარეების მნიშვნელობის აღიარებს, თუმცა არის კრიტიკული პოზიციებიც, განსაკუთრებით, არაკეთილსინდისიერი რეკლამის მომხმარებელზე ნეგატიური ზემოქმედების საკითხში.

რეკლამას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. უძველეს სამყაროში ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა ხერხებს იყენებდნენ. ფინიკელები, რომლებიც ცნობილია, როგორც პირველი მოვაჭრე ხალხი, თავიანთი პროდუქციის გასაღების მიზნით დიდ ქვებზე სარეკლამო ხასიათის სურათებს ხატავდნენ; ძველ საბერძნეთში სპილენძის ფირფიტებზე და ძვლებზე დანერილ ინფორმაციებს თვალსაჩინო ადგილებზე აკრავდნენ; ძველ რომში დაქირავებული ადამიანები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სავაჭრო თუ სხვა სახის ინფორმაციებს ხმამაღლა კითხულობდნენ. რეკლამის განვითარებას ევროპის წამყვან ქვეყნებში ხელი შეუწყო წერა-კითხვის მასობრივმა გავრცელებამ და ბეჭდვის საყოველთაო შემოღებამ. ამერიკელმა საქმიანმა ადამიანებმა, დაინახეს რა ბეჭდვითი რეკლამის უპირატესობა, XVIII საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს კომერციული ხასიათის გაზეთების გამოშვება. ამ პერიოდიდან საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყანაში რეკლამა და სარეკლამო საქმიანობა ბიზნესის განვითარების არსებითი პირობა გახდა.

ტექნიკისა და ტექნოლოგიების, საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად რეკლამის საშუალებები სულ უფრო მრავალფეროვანი და სრულყოფილი ხდება; ჩნდება რეკლამის ახალი ტიპები, სახეები, რეგულირების მრავალფეროვანი მეთოდები. განვითარების ადრინდელ ეტაპზე რეკლამისთვის დამახასიათებელი

იყო ადამიანების მოზიდვა ყველანაირი საშუალებებით, ის ხასიათდებოდა სიმართლის სრული უგულებელყოფით; მაშინ არ მოქმედებდა რეკლამის სახელმწიფოებრივი რეგულაციები. დღეს კი, რეკლამას შედარებით ფრთხილად ეკიდებიან, რამდენადაც ყალბი რეკლამის გამოაშკარავება მისი შემქმნელისთვის ზარალის მომტანი შეიძლება გახდეს. საქართველოში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის პირობებში რეკლამას ძირითადად პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. საბჭოური რეკლამა მოქალაქეებს მოუწოდებდა დაეცვათ ქვეყნის საზღვრები, შეენახათ ფული შემნახველ საღაროებში და სხვ.

დღეს რეკლამის გარეშე რთულია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ცხოვრება. რეკლამა არის „მომსახურების, ნაწარმის ან იდეის შესახებ ინფორმაციის არაპერსონალური გზით მიწოდება“ (ამსტრონგი 2006: 493); რეკლამა განკუთვნილია ფართო აუდიტორიისთვის, რამდენადაც ის არ არის პერსონიფიცირებული. ჩვენ მას ვხვდებით ყოველ ნაბიჯზე, სადაც არ უნდა ვიყოთ – სახლში, როცა ტელევიზორს ვუყურებთ ან რადიოს ვუსმენთ, როცა სამსახურში ან სასწავლებელში მივდივართ, ქუჩაში თუ ტრანსპორტში. ხშირად გვესმის, რომ „კარგი საქონელი რეკლამას არ საჭიროებს“, თუმცა, ეს ძნელად დასათანხმებელია, რამეთუ თანამედროვე მასობრივი მოხმარების საზოგადოებაში რეკლამა უსაზღვრო საქონელთა მასაში მომხმარებლის ძირითადი მაორიენტირებელია. ის გვეხმარება ჩვენ, როგორც მომხმარებელს გვეჩვენოს საკუთარი აზრი და შევძლოთ არჩევანის გაკეთება.

სარეკლამო საქმიანობა მეცნიერების ის დარგია, რომელიც იყენებს ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, ტექნოლოგიის მიღწევებს. განსაკუთრებით, მის შესწავლას დიდი ადგილი ეთმობა ფსიქოლოგიაში. რეკლამის მიზანია კონკრეტული საქონლისა თუ მომსახურების შესაძენად პოტენციურ მომხმარებელს შეუქმნას ფსიქოლოგიური განწყობა. ადამიანს ვერ აიძულებ შეიძინოს ესა თუ ის საქონელი თუ არ მოხდა მისი დარწმუნება, განწყობის შექმნა. სწორედ ფსიქოლოგები სწავლობენ მასობრივი მყიდველის ფსიქოლოგიას, მათი ქცევის განმაპირობებელ და წარმართველ მოტივებს, რომელიც რეკლამის შექმნისას გამოიყენება. საქონლისა და მომსახურების შეძენაზე საბოლოო გადაწყვეტილებას, მართალია, მყიდველი იღებს, თუმცა სინამდვილეში მის „ცნობიერ

და არაცნობიერ ბუნებაზე გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედება „რბილი ტერორი“ ხორციელდება“ (არჩვაძე 2010: 115).

სარეკლამო ინფორმაცია და შესაბამისად, რეკლამის სახეები ეფუძნება გამლიზიანებლების მთელ კომპლექსს, რომლის ყველა ელემენტი მნიშვნელოვანია და გარკვეული ინფორმაციის მატარებელი. რეკლამის საგნისთვის მეტი მიმზიდველობის მისანიჭებლად გამოიყენება ნებისმიერი მხატვრული და გრაფიკული გამოსახულება, როგორიცაა: ფერი, სახვითი ფორმები, კონტრასტულობა, ინტენსიურობა, კომპიუტერული სპეცეფექტები, ხმა, მელოდია; სარეკლამო საქონელს მომხიბვლევლობას უქმნის პოპულარული მსახიობები თუ ცნობილი ადამიანები. განსაკუთრებით მომხმარებელთა აუდიტორიის მასშტაბების არნახული ზრდა გამოიწვია მედიასაშუალებებმა და ინტერნეტმა. მომხმარებლის ფსიქოლოგიაზე გავლენის მოსახდენად აქტიურად გამოიყენება ტელევიზია. თუმცა, ადამიანებს გვალიზიანებს მუდმივად განმეორებადი და მომაბეზრებელი სარეკლამო ჭრები ტელეგადაცემებში. ამ საკითხში განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ ბავშვები, რომლებიც უფროსებთან შედარებით უფრო მიმდობნი არიან, განსაკუთრებით სათუთია მათი ფსიქიკა. ამიტომაც ფრთხილი მიდგომა სჭირდება საბავშვო რეკლამებს. დადასტურებულია, რომ ადამიანს ბავშვობისას განცდილი მთელი ცხოვრების მანძილზე მტკივნეულად მიჰყვება. ისინი დღის დიდ ნაწილს უყურებენ ტელევიზორს, ერთობიან ვიდეოთამაშებით, ათვალერებენ ინტერნეტში ვებ გვერდებს. უფროსებს შეგვიძლია მხოლოდ გარკვეულწილად შევასუსტოთ რეკლამის ნეგატიური ფსიქოლოგიური გავლენა ბავშვებზე. გადავრთოთ მათი ყურდღება სხვა რამეზე ან დავაკავოთ სხვა საქმით.

რეკლამის მასშტაბებისა და როლის ზრდასთან ერთად გააქტიურდა დებატები მის გარშემო. დისკუსიების საგანია ის, თუ რამდენად სასარგებლოა საზოგადოების მიერ რეკლამაზე გაღებული ხარჯები, ის ძირითადად მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებაა, თუ ამასთანავე აწვდის მას სწორ, უტყუარ ინფორმაციას. ამ დებატების ანალიზი უფრო ობიექტური იქნება, თუ რეკლამას შევაფასებთ როგორც კომერციული, ისე სოციალური ასპექტით. აქედან გამომდინარე განიხილავენ რეკლამის ეკონომიკურ და სოციალურ გავლენასაც.

კომერციული რეკლამა მიმართულია მომხმარებლის ყურადღების მისაპყრობად და საზოგადოებას წარუდგენს ახალ საქონელს და მომსახურებას. რეკლამას ნებისმიერი ბიზნესისთვის შეუძლია კლიენტების მოზიდვა, გასაღების სტიმულირება თუ რეგულირება. იგი არა მხოლოდ ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს საქონლისა და მომსახურების შესახებ, არამედ, კომპანიას, ახალ პროდუქტს ბაზარზე შესვლას უადვილებს. ის ზრდის რეალიზაციას, რაც თავის მხრივ, ფასებს ამცირებს. კრიზისულ სიტუაციებში სწორედ იმ კომპანიების საქონელზე იზრდება მოთხოვნა, რომლებიც უფრო მეტად ფიქრობენ და ახერხებენ თავიანთი პროდუქციის რეკლამას. განიხილავენ რეკლამის გავლენას კერძოდ, მომხმარებლის არჩევანზე, კონკურენციაზე, პროდუქტის თვითღირებულებაზე, ფასზე.

კომერციულ რეკლამას შეუძლია საქონელზე შექმნას მოთხოვნა ხელოვნურად, „ცარიელ ნიადაგზე“, რის შედეგად, ხშირად ადამიანები იძენენ ისეთ საქონელს, რომელიც არც კი სჭირდებათ. კრიტიკოსები რეკლამების დიდ ნაწილს ხშირად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ მცდარია, არასარწმუნოა და მომხმარებელი შეცდომაში შეჰყავს. ისინი ამტკიცებენ, რომ რეკლამა უფრო ფსიქოლოგიურია, ვიდრე ინფორმაციული; რომ კომპანიები რეკლამით ახდენენ მანიპულირებას ადამიანთა გემოვნებით. რეკლამები ხშირად არ აძლევენ მომხმარებელს საკმარის ინფორმაციას, რომელზე დაყრდნობითაც ისინი სწორ არჩევანს გააკატებენ. ისინი მათ მხოლოდ მათთვის ხელსაყრელ ინფორმაციას აწვდიან. სრულ სიმართლეს ყოველთვის არ ეუბნებიან (ჯორჯ ი. ბელჩი 2013: 734).

კვლევებით დადასტურდა, რომ მომხმარებლებს რეკლამისადმი ხშირად უნდობლობა გააჩნიათ. ეს გამოწვეულია მათი იმედგაცრუებებით, როდესაც ძალიან ხშირად რეკლამაში საქონელი გაცილებით სხვგვარადაა წარმოჩენილი, რასაც უკვე მოხმარების პროცესში ხვდებიან. ამიტომ ისინი ყველაზე მეტად ნაცნობებისა და მეგობრების ნათქვამ სიტყვას და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას უფრო ენდობიან. ინფორმაციის ყველაზე დიდ წყაროდ ბრენდების ვებგვერდებია დასახელებული. „მომხმარებელთა 8% მათ სრულ ნდობას უცხადებს, ხოლო სხვა მედიასაშუალებებს კი გამოკითხულთა მხოლოდ 1-2%. კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელი რეკლამების დიდ უმრავლესობას უგულვებელყოფს, რადგან

ისინი ჩვენს ყოფაში ზედმეტად იჭრებიან“ (ჯორჯ ი. ბელჩი 2016: 732), რომ ის აბრკოლებს ჯანსაღ კონკურენციას და რეკლამის ობიექტს იმაზე უკეთ წარმოაჩენს, ვიდრე ის სინამდვილეშია.

კრიტიკის ობიექტია რეკლამის ზემოქმედება კონკურენციაზე; ის, რომ რეკლამა ხელს უწყობს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. დიდი სარეკლამო კომპანიები, რომელთაც აქვთ შედარებით დიდი ბიუჯეტი და არიან ფინანსურად ძლიერნი, ბაზარზე შესვლის ბარიერს უქმნიან შედარებით მცირე ზომის, ფინანსურად სუსტ კომპანიებს; ამას შედეგად მოჰყვება კონკურენციის შესუსტება. კონკურენცია კი ეფექტიანი ეკონომიკის არსებობის პირობაა. თუმცა მხოლოდ რეკლამა არ არის კონკურენციაზე ამგვარად მოქმედი მიზეზი.

როგორც აღნიშნავენ, რეკლამა გავლენას ახდენს პროდუქტზე განეულ დანახარჯებსა და ფასებზე, კერძოდ, რეკლამა ზრდის პროდუქციაზე ხარჯებს და შესაბამისად, ფასსაც, რომელსაც საბოლოოდ მომხმარებელი იხდის. თავიანთი მასშტაბების შესაბამისად ფირმები პროდუქციის რეკლამირებისათვის ხარჯავენ საკმაოდ დიდ თანხებს, რომლის ამოღებას ისინი ბევრად უფრო მეტი ოდენობით გეგმავენ. რეკლამაზე „ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 237 მილიარდ დოლარს ხარჯავენ. მსოფლიოში კი რეკლამაზე დაახლოებით 270 მილიარდი დოლარი იხარჯება“ (ამსტრონგი 2006: 493). მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დღეს სასაქონლო ბაზრები უმწვავესი კონკურენციით ხასიათდება, რასაც თან სდევს ბრძოლა მომხმარებლის „გულისა თუ ჯიბის“ დაპყრობისათვის. ხშირად მომხმარებელი დაბალფასიან ბრენდებთან შედარებით რეკლამირებულ ბრენდებს ანიჭებს უპირატესობას და მათში მეტ ფულსაც იხდის, რაც კრიტიკოსებს ფულის ფლანგვად მიაჩნიათ.

მიუხედავად კრიტიკული მოსაზრებებისა, მისი ეკონომიკური როლი გაცილებით მეტია, ვიდრე ნეგატიური ასპექტები. რეკლამის უდიდესი მნიშვნელობა ცალსახად დასტურდება მთლიანად ეკონომიკასთან და არა რომელიმე ცალკეულ კომპანიასთან მიმართებაში განხილვისას. რეკლამა მთელი ეკონომიკის ფუნქციონირებაზე დიდი ზემოქმედების მქონე ძალაა. მას ერთობლივი მოთხოვნის შექმნაში დიდი როლი ენიჭება და შესაბამისად, ასრულებს ეკონომიკური ზრდის სტიმულატორის როლს.

რეკლამას ყოველთვის არ აქვს კომერციული ხასიათი. სოციალური რეკლამა არაკომერციული ინფორმაციის გავრცელებაა და სოციალური თვალსაზრისით მას დიდი მნიშვნელობა გააჩნია. მისი როლი საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად გამოიხატება ბევრი სოციალურად სასარგებლო ქმედების პროპაგანდაში. სოციალურ რეკლამაში აისახება საზოგადოებაში არსებული პრობლემები, როგორცაა ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ოჯახში ძალადობა და სხვ. მას შეუძლია ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით შეცვალოს საზოგადოებრივი აზრი. ის ხშირად გამოიყენება სახელმწიფო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ განსაზღვრული სოციალური მიზნების მისაღწევად.

რეკლამის სოციალური შედეგების განხილვისას მხედველობაში მიიღება არგუმენტი, რომ ის ფირმების მიერ კლიენტების მოსაზიდად ბოროტად გამოიყენება; რომ რეკლამები ხშირად შეურაცხმყოფელი და უგემოვნოა, ინვესს ზიზღს, ზოგი რეკლამა კი შიშის მომგვრელია; ხშირად კამათის ობიექტია მზარდი შოკური რეკლამების რაოდენობა, რაშიც ყურადღების მისაპყრობად გამოყენებულია სიშიშვლე ან რაიმე განსკუთრებული იმიჯი. როგორც აღნიშნავენ ის ზემოქმედებს საზოგადოების გემოვნებაზე, ფასეულობებზე, ცხოვრების სტილზე. რეკლამების განუსაზღვრელი ოდენობა და სხვადასხვა საშუალებებით მისი გადაჭარბებული მიწოდება ცვლის სოციალურ ფასეულობებს.

რეკლამა უდავოდ არის სასარგებლო რამ, მაგრამ ამავე დროს მას შეუძლია ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის ფსიქიკაზე. ამიტომაც არსებობს მისი რეგულირების აუცილებლობა. სარეკლამო საქმიანობის რეგულირება არის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ამჟამად ყველა სახელმწიფოში რეკლამა რეგულირდება კანონმდებლობით, რომლის მიზანია მცდარი, არაკეთილსინდისიერი, არაეთიკური ინფორმაციის გავრცელების აღკვეთა. ის ითვალისწინებს, თუ რამდენადაა დაცული სოციალური პასუხისმგებლობა, ბიზნესის ეთიკის ნორმები. ბევრგან კანონით აკრძალულია არაკეთილსინდისიერი, არასანდო, აგრესიული რეკლამა, რომელიც მომხმარებლის ინტერესებზე ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს და მას უგულვებელყოფს; სპეციალური კომისია აკონტროლებს რეკლამის შინაარსსა და სისწორეს. ამა თუ იმ ქვეყანაში მეტნაკლებად შეზღუდულია

სარეკლამო ბლოკის ხანგრძლივობა; მაგალითად, ამერიკაში არსებობს საბავშვო რეკლამების ზედამხედველობის ორგანო, რომელსაც შემოუზავებული აქვს არაჯანსაღი რეკლამებისგან ბავშვების დაცვის შესაბამისი პრინციპები; ბავშვებზე ორიენტირებული რეკლამა აიკრძალა შვედეთში, ნორვეგიაში და ევროპის არაერთ ქვეყანაში.

სოციალური რეკლამის რეგულირება უფრო მარტივია, ვიდრე კომერციული რეკლამის, რამდენადაც სოციალური რეკლამა ძირითადად, ესე ვთქვათ, „მონოპოლიზებულია“ სახელმწიფო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელში და ემსახურება საზოგადოებისთვის სასარგებლო განსაზღვრული სოციალური მიზნების მისაღწევას.

სარეკლამო საქმის რეგულირების აუცილებლობა გამომწვეულია მომხმარებლის ინტერესების დაცვით, ადამიანის ფსიქოლოგიაზე რეკლამის არაკეთილსინდისიერი გავლენის შეზღუდვით. ასეთი გავლენისგან არც ქართველი მომხმარებელია დაცული, პირიქით საქართველოში მეტი სიმწვავეთ დგას ეს საკითხი. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ჩვენზე გამუდმებით ხდება „რბილი ტერორი“, რომელსაც გამკლვება ხშირად ძნელია.

რეკლამა ისეთი სკითხია, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის, როგორც მომხმარებლის უფლებებს. საქართველოში მოქმედებს კანონი „რეკლამის შესახებ“ და კანონი, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, სურსათის უვნებლობის კოდექსი, მთავრობის არაერთი დადგენილება მომხმარებლის ინტერესების დაცვის სფეროში, რომელთა მიზანია მომხმარებელთა დაცვა არაკეთილსინდისიერი რეკლამისგან. კანონში განმარტებულია არაკეთილსინდისიერი, არაეთიკური, შეცდომაში შემყვანი რეკლამა, მოცემულია სარეკლამო საქმიანობის რეგულირების საკითხები. კანონის მიხედვით, როცა მომხმარებელი ხდება შეცდომაში შემყვანი რეკლამის მსხვერპლი, მას უფლება ეძლევა ნამოყვანოს მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა. თუმცა ამის პრაქტიკა ნაკლებადაა. კანონი აწესებს ასევე ქვოტებს იმასთან დაკავშირებით, მაგალითად, დროის რა ნაწილი შეიძლება დაეთმოს სატელევიზიო სარეკლამო ტიხრებს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-4 მუხლი ესაა „მომხმარებლის უფლება ინფორმაციაზე“. მაგალითად, ერთ-ერთ მუხლში ვკითხულობთ: „რეკლამის წარმოების, განთავსებისა და

გავრცელების დროს არასრულწლოვანთა გულუბრყვილობისა და გამოუცდელობის ბოროტად გამოყენებისაგან მათი დაცვის მიზნით აკრძალულია: არასრულწლოვანთათვის შთაგონება. და-არწმუნონ მშობლები ან სხვა პირები რეკლამირებადი საქონლის შეძენაში“ (საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ თ.ი. მ. 14).

თანამედროვე სახით სარეკლამო საქმიანობის გამოცოცხლება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას უკავშირდება და არც ისე დიდი გამოცდილება გაგვაჩნია. თუმცა მოკლე ხანში სარეკლამო ბიზნესი უკვე სწრაფად განვითარდა. ამან კი, როგორც ავლნიშნეთ, რეგულირების და მომხმარებლის დაცვის ახალი მექანიზმები მოითხოვა. საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი მომხმარებლის უფლებების დაცვის კუთხით, ბიზნესის არაკეთილსინდისიერი ზეგავლენის აღკვეთისაგან. დღეისათვის საქართველოში ასეულობით სარეკლამო სააგენტოა, ვითარდება სარეკლამო ბიზნესი. ქართული რეკლამა თავისი ტიპებით, სახეებით თუ გამოხატვის ფორმებით ვერ ჩამოუვარდება მსოფლიოს სარეკლამო ბაზრის მიღწევებს. თუმცა, მაინც საკმარისაა საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ დასარეგულირებელია.

რეკლამაში სასურველია გათვალისწინებულ იქნეს ეთიკური მოსაზრებები და განისაზღვროს ის, თუ რა ჩაითვლება მიზანშეწონილად და რა არაა. შესაძლებელია ხშირად ესა თუ ის ქმედება კანონის ფარგლებში თავსდება, მაგრამ მაინც ეთიკურად არ ჩაითვალოს. ეს ეხება რეკლამის არაკეთილსინდისიერ გავლენას საზოგადოებაზე.

სარეკლამო საქმიანობას დღეს საქართველოში განსაკუთრებით სჭირდება მეტი ყურადღება მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიმართულებით. ხშირად საზოგადოებას აღაშფოთებს ზოგიერთი რეკლამის გავლენა, რაც გამართლებულიცაა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია სიცოცხლისთვის საშიში პროდუქტების რეკლამა, მათ შორის საბავშვო რეკლამები, რომელიც ბავშვებისთვის მავნებელ პროდუქციას უწევს პროპაგანდას. გადის დრო და მერე საზოგადოება გეულობს, რომ ცრუ და შეცდომაში შემყვან რეკლამასთან ჰქონდა საქმე. ამ მიმართულებით პროგრესული ნაბიჯია კვების პროდუქტებზე გენმოდირიცირებულობის თუ სხვა ხარისხის ნიშნების ასახვის აუცილებლობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ქმედითი ორგანო თუ ინსტიტუტი, რომელიც იქნება

შესაბამისი პრინციპებით აღჭურვილი და პრაქტიკულად იზრუნება და ქვეყანაში ზამოთაღნიშნული პრობლემების აღკვეთაზე. მაგ, მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად კარგი იქნებოდა თუ საქონლის რეალიზაციის ადგილებში დაიდგებოდა სპეციალური ყუთები მომხმარებელთა საჩივრებისთვის არაკეთილსინდისიერ რეკლამასთან დაკავშირებით, რაზეც გაკეთდებოდა შესაბამისი რეაგირება რაიმე ზედამხედველობითი ორგანოს მხრიდან.

თუმცა, რაც არ უნდა დაიხვეწოს შესაბამისი რეგულაციები, მომხმარებელი რეკლამის ნეგატიური გავლენისგან სრულად დაცული მაინც ვერ იქნება. ვფიქრობთ, თანამედროვე პირობებში ძირითადად საქმე გვაქვს გამოცდილ, ინფორმირებულ, შედარებით სხვა ტიპის მომხმარებელთან, რომელსაც შეუძლია ბრმად არ მიენდოს რეკლამას, არამედ გააცნობიეროს, ეჭვი შეიტანოს და საჭიროების შემთხვევაში თავი დაიცვას მისი არასასურველი გავლენისგან.

ბიბლიოგრაფია References

1. არჩვაძე 2010: არჩვაძე იოსებ და ქურხული ლია, „ ეკონომიკური ფსიქოლოგია“, თბ., 2010.
2. ამსტრონგი 2006: ამსტრონგი, გარი და ფილიპ კოტლერი, „მარკეტინგის საფუძვლები“, მე-7 გამოცემა., თბ., 2006.
3. თევდორაშვილი ნ., „რეკლამა“, თბ., 2000.
4. კაციტაძე ნ., რეკლამა. თბ., 2006.
5. ჯორჯ ი. ბელჩი და მაიკლ ე. ბელჩი 2013: „რეკლამა და პრომოცია“, თბ., 2013.
6. ჯაში, ჩარიტა და ელისაბედ ხახუტაიშვილი 2012: „რეკლამა და სტიმულირება“ თბ., 1012.
7. შუბლაძე, გივი. 2009: „მარკეტინგის საფუძვლები“, სახელმძღვანელო. თბ., 2009.
8. ხიზანიშვილი, ვასილ 2016: „ეთიკური ეკონომიკა“, თბ., 2016.
9. საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ.
10. <http://www.who.int/fctc/reporting/party-reports/georgia-annex5-law-on-advertisement.pdf>
11. <https://www.marketer.ge/reklamis-istoria/>

შორენა პაჭკორია

/ზსსუ ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი/

ეკონომიკის გლობალიზაცია და ანტიინფლაციური პოლიტიკა

ანოტაცია: ეკონომიკის ინტეგრაციამ დღის წესრიგში დააყენა იმ მრავალრიცხოვანი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ფულის მიმოქცევაზე და ინფლაციის მაჩვენებლებზე. სტატიის მიზანია ზოგადად მიმოხილულ იქნას არსებული ფაქტორები.

სიახლე მდგომარეობს ინფლაციური პროცესების წარმოშობასა და ძირითადი მონეტარული და არამონეტარული ფაქტორების ანალიზსა და განზოგადებაში, ანტიინფლაციური რეგულირების ტრადიციული და უახლესი მოდელების პოზიციური და ნეგატიური აქტების შეფასებაში, ინფლაციური თარგეთირების თეორიისა და პრაქტიკის განხილვაში. რომელიც ხორციელდება, ქართულ და უცხოურ გამოკვლევებში ინფლაციისა და ანტიინფლაციური რეგულირების საკითხებზე შესრულებულ ლიტერატურაზე დაფუძნებით.

ამოსავალი სიტყვები: ეკონომიკის გლობალიზაცია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფასების ზრდა, თარგეთირება, მოთხოვნა, მიწოდება.

Globalization of Economics and Politics of Antiinflation

Abstract: *We can conclude that, in understanding of the essence of inflation, preference must be given to the conception according to which the inflation is the violation of the money turnover law, the violation that shows itself in the surplus of money stock compared to its real demand, or in the exchange depreciation followed by price increases without enriching the production quality.*

Among various monetary and non-monetary factors causing the inflation, the main ones are the growth of demand and the growth of costs (of shipping). In fact, mostly, the monetary and non-monetary factors of the price increases act simultaneously in economy.

For the moment, there is no any perfect classification of inflation types in the economic literature. The expanded scheme of classification given in the paper is approximative and needs to be supplemented by inflation types which appear during the integration processes in the world.

The low efficiency of the monetary model of anti-inflation regulation, applied in most of the countries in the world, made it necessary to use a new strategy against inflation, i.e. inflation targeting. It appeared as an intersection of new classical and new Keynesian theories, as a reaction to the weakening of results of monetary aggregates and exchange rate targeting.

Keywords: *Globalization of the economy, Money-credit policy, Price rise, Targeted, Demand, Delivery.*

ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტების ძიება, რაც განპირობებულია იმით, რომ არც თუ იშვიათად ვლინდება შეუსაბამობა ინფლაციის ტემპებსა და ფულად მასას შორის.

ფულთან დაკავშირებული მოვლენაა სწორედ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორცაა ინფლაცია, რომელიც ნიშნავს საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საჭირო დონის უწყვეტ ზრდას, რაც ფულის მსყიდველობითი უნარის დაცემაში ჰპოვებს ასახვას. ინფლაცია ცხოვრების ღირებულების გაძვირება და ეკონომიკის ძნელად განსაკურნებელი დაავადებაა, ამიტომ როგორც მსოფლიო, ისე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მასზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე უამრავი გამოკვლევაა შესრულებული.

ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ სად, რომელ ეკონომიკურ სისტემაში წარმოიშობა ინფლაცია, იგი განიხილება, როგორც ფულის მიმოქცევის კანონის დარღვევა, როგორც ფასების ღია და ფარული ზრდა, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირების მიზეზი. ყველა შემთხვევაში ინფლაცია დაკავშირებულია ძირითადად ქალაქის ფულის მიმოქცევასთან, ამიტომ მისი სიღრმისეული ახსნა ამ სფეროში უნდა ვეძებოთ, მაგრამ არა ავტონომიურად, იზოლირებულად, არამედ სხვა ელემენტებთან ურთიერთკავშირში.

ვფიქრობ, თანამედროვე ეტაპზე განმარტების ცნობილი ვარიანტები ვერ ამოწურავენ მის შინაარსს, რადგან ეკონომიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის შედეგად უფრო მრავალფეროვანი გახდა ინფლაციის გამომწვევი ფაქტორები და პირობები. თანამედროვე ინფლაცია რთული მრავალნახნაგოვანი პროცესია და მეტნაკლებად ყველა ქვეყანას მოიცავს. ინფლაციის მაღალი ტემპი სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციის შინაარსში მთავარია ფასები, მისი საერთო დონის აწევა, ფასების ზრდა ყოველთვის ინფლაციას არ უკავშირდება. ფასების მატება შეიძლება გამოწვეული იყოს საქონლის მოთხოვნის უფრო მაღალი დონით მიწოდებასთან შედარებით. ასეთი დისპროპორცია მთელ რიგ შემთხვევაში არ წარმოადგენს ინფლაციას. საქონელზე ფასები შეიძლება შეიცვალოს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ციკლური და სეზონური

რყევების, კვლავწარმოების სისტემაში, სტრუქტურული ძვრების, ბაზრის მონოპოლიზაციის, გადასახადების ახალი განაკვეთების, ფულადი ერთეულის დევალვაციისა და რევალვაციის, საგარეო ეკონომიკური კავშირების ზეგავლენის, სტიქიური უბედურების და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგადაც. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ინფლაციური მოვლენების გამომწვევი ფაქტორები და მიზეზები.

ვფიქრობ, ფასების ზრდის ინფლაციური მიზეზები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- დისპროპორციულობა, რაც გამოიხატება სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების დაუბალანსებლობით, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტით. ასეთი მოვლენა განსაკუთრებით საშიშია იმ შემთხვევაში, როცა დეფიციტის დაფარვა ხდება „საბეჭდი დაზგის“ გამოყენებით, რადგან მას მიეყვარება ფულადი მასის გადიდება და როგორც შედეგი – ინფლაციური პროცესების გამწვავებამდე. დღევანდელ ეტაპზე ასეთი მოვლენის უარყოფითი ეფექტი გაცნობიერებული აქვთ სახელმწიფოთა უმრავლესობას, ამიტომ იშვიათად თუ მიმართავენ ემისიური ფულით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას. თუმცა, გარდამავალ ეკონომიკურ ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების სანყის ეტაპზე იგი ფართოდ გამოიყენებოდა, მათ შორის საქართველოშიც, რამაც, როგორც ცნობილია, მწვავე ინფლაციური და ჰიპერინფლაციური პროცესები გამოიწვია.

ინფლაციურად საშიში ინვესტიციები გულისხმობს ეკონომიკურ მილიტარიზაციას. ცხადია, სამხედრო ასიგნებები ინვესტდამატებით მსყიდველობითუნარიან მოთხოვნასა და ფულადი მასის მკვეთრ ზრდას. ამასთანავე, მეტისმეტი სამხედრო ხარჯები წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაღრმავების მთავარ მიზეზს, აგრეთვე სახელმწიფო ვალის ზრდის საფუძველს, რომლის დაფარვისათვის გამორიცხული არაა დამატებითი ქალაქის ფულის გამოშვება.

- იმპორტირებად ინფლაციაში, რომლის როლი იზრდება ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ, სულ უფრო ინტენისურად ერთვებიან ცალკეული სახელმწიფოები. უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტთან დაკავშირებული ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობანი საკმაოდ შეზღუდულია.

- ინფლაციური მოლოდინი, გამოიხატება ინფლაციის თვითშენარჩუნების ხასიათით. ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა და სამეურნეო სუბიექტები ეჩვენებიან ფასების მუდმივ ზრდას, ამიტომ მოსახლეობა ითხოვს ხელფასებისა და სოციალური დახმარების მატებას, რათა ფასების შემდეგომი ზრდის მოლოდინში მარაგის სახით შეიძინოს საქონელი. მენარმეები კი მათი მომწოდებელი პარტნიორებისაგან ფასების ზრდის სანაცვლოდ თვითონაც ზრდიან წარმოებული საქონლის ფასს, რაც თავის მხრივ ინვესტინფლაციის გაძლიერებას.

ინფლაციის არსის ამოსავალ თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მონეტარული და არამონეტარული კონცეფციები. პირველი კონცეფციის მიხედვით, ინფლაცია წარმოადგენს სუფთა ფულად ფენომენს და მისი მიზეზია მიმოქცევაში ფულის მასის ზრდა. მეორე კონცეფციის თანახმად, ინფლაცია განიხილება როგორც მრავალფაქტორული მოვლენა, როცა ფასების ზრდის მიზეზი დევეს ფულის მიმოქცევის ასევე წარმოების სფეროში.

აღსანიშნავია, რომ რეალურ ეკონომიკაში ერთდროულად მოქმედებს ფასების საჭირო დონის ზრდის მონეტარული და არამონეტარული ფაქტორები. განვითარების ცალკეულ ეტაპზე შეიძლება აღნიშნული ფაქტორების სახეობებიდან რომელიმე წინა პლანზე წამოიწიოს ან პირიქით, მაგრამ გრძელვადიანი პერიოდისათვის ინფლაციის სწრაფი განვითარება შეუძლებელია ფულადი მასის ზრდის გარეშე.

მონეტარული თეორიის ფუძემდებელი მ. ფრიდმანი აღნიშნავს, რომ ინფლაციას ყოველგან და ყოველთვის თან ახლავს მონეტარული ფენომენი. მისი აზრით ისტორიულად ფასებში არსებითი ცვლილებები ყოველთვის მომდინარეობდა შესაბამისი ცვლილებებით ფულის რაოდენობაში, განსხვავებით წარმოების მოცულობაში მიმდინარე ცვლილებებისაგან /მ. ფრიდმანი 1999: 112-113 /. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციური ფაქტორები იმდენადაა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, პრაქტიკულად ძნელია ერთი ტიპი განვასხვაოთ მეორისაგან, მაგალითად, ხელფასების ზრდა შეიძლება იყოს როგორც მოთხოვნის ისე მიწოდების ინფლაციის მიზეზი.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და წყაროები ხასიათდება გარკვეული თავისებურებით,

რაც განპირობებულია დირექტიულ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სპეციფიკური ხასიათით. ამ ქვეყნებში ინფლაციური პროცესების ანალიზი იძლევა მათ სამ განსხვავებულ ჯგუფად კლასიფიკაციის საშუალებას. პირველ ჯგუფში შედის ეკონომიკური რეფორმების წარმატებულად გამტარებელი ქვეყნები (პოლონეთი, ჩეხეთი, ბალტიის ქვეყნები), რომლებმაც ეკონომიკური რეფორმები დაიწყეს მაღალი ინფლაციის პირობებში და საკმაოდ წარმატებულად უზრუნველყვეს მისი მოკლე დროში დარეგულირება. მეორე ჯგუფი მოიცავს ძირითადად დსთ-ს ქვეყნებს, რომლებმაც რეფორმების სანყის ეტაპზე (1992-1999 წ.წ.) გადაიტანეს ჰიპერინფლაციური პროცესები. მესამე ჯგუფში ერთიანდება ის ქვეყნები, რომლებმაც გარდამავალი პერიოდის გარკვეულ ეტაპზე შეძლეს ინფლაციის ზრდის ტემპების შემცირება, თუმცა, ვერ უზრუნველყვეს მისი შენარჩუნება და ინფლაციამ კვლავ ზრდის ტენდენცია მიიღო (ბურგარეთი, რუმინეთი). ამ კლასიფიკაციის არც ერთ ჯგუფში არ შედის უნგრეთი, რომელმაც შეძლო თანდათანობითი და წარმატებული რეფორმების გატარება, რის შედეგადაც ინფლაციის სერიოზულ რყევებს არ ჰქონია ადგილი. მთლიანობაში მაინც ყველა გარდამავალ ქვეყანაში ინფლაციური პროცესების დარეგულირება სირთულეებს წააწყდა, რაც გამოწვეული იყო სისტემური ეკონომიკური კრიზისითა და გეგმიანი ეკონომიკის რღვევასთან დაკავშირებული ფულად-საკრედიტო და ფისკალური პრობლემების გამწვავებით.

ინფლაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ცალკეულ ქვეყნებში წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, რაც ვლინდება შემდეგ ნეგატიურ და პოზიტიურ მახასიათებლებში: ინფლაციის მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის განაწილება და ბიუჯეტის შევსება „ინფლაციური გადასახადი“, ინფლაციის მაღალი ტემპების და ფასების დონის მკვეთრი ცვლილება ართულებს ბიზნეს-გეგმის შედგენას და ზრდის მენარმეობრივ რისკს; მცირდება საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობა და იზრდება სოციალური დაძაბულობა; ფასების ზრდისა და საქონლის კონკურენტუნარიანობის შედეგად იზრდება იმპორტი და მცირდება ექსპორტი, რაც თავის მხრივ განაპირობებს უმუშევრობის ზრდას. დიდდება უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა; მატულობს საზღვარგარეთ კაპიტალის გადინების ტემპი; იზრდება სპეკულაცია სავალუტო

ბაზარზე, რაც უფრო აჩქარებს ფასების ზრდას; მცირდება ფულადი ფორმით დანაზოგების რეალური ღირებულება; მატულობს მოთხოვნა რეალურ აქტივებზე, დაბალი ინფლაცია არასრული დასაქმების პირობებში ამცირებს მოსახლეობის რეალურ შემოსავლებს, მაგრამ სტიმულს აძლევს დასაქმებულებს უფრო ეფექტიანად იმუშაონ. მცოცავი ინფლაცია მოკლევადიან პერსპექტივაში გარკვეულ სტიმულს აძლევს ეკონომიკურ ზრდას.

რამდენადაც ინფლაცია ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სახელმწიფოს მოვალეობაა წინ აღუდგეს მას, შეიმუშაოს ანტიინფლაციური პროგრამა, პრაქტიკული რეალიზაციით განამტკიცოს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური სტაბილურობა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში წარმოქმნილ კრიზისის თავისებურებების გამო, ანტიინფლაციური რეგულირების მეთოდების შერჩევისა და პრაქტიკული რეალიზაციის რთული პროცესი, საჭიროებს გააზრებულ მიდგომას და ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორების ღრმა ანალიზს, განზოგადებას. ინფლაციასთან ბრძოლის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებიდან კრიზისული ეკონომიკის პირობებში აუცილებელი ხდება მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მხრიდან პირდაპირი მეთოდების გამოყენება, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს: ფულის მასის რეგულირება, ცენტრალური ბანკის მექანიზმების გამოყენება, კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთის რეგულირება, ცენტრალური ბანკის მიერ ღია ბაზარზე ოპერაციების გააქტიურება და ა. შ.

ანტიინფლაციური პოლიტიკის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს სამი განსხვავებული მიდგომა: პირველი მიდგომა გულისხმობს აქტიური საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებას, რომლის დროსაც გადახდისუნარიან მოთხოვნაზე ზემოქმედება ხდება სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების მანევრირების გზით (თანამედროვე კეინიზმი). მეორე მიდგომის თანახმად, ინფლაციის რეგულირება ხორციელდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით, რომელსაც ატარებს დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი. ანტიინფლაციური რეგულირების მესამე მიმართულებად ითვლება ფასებზე და შემოსავლებზე სახელმწიფო კონტროლი, რაც ხორციელდება ხელფასების (შემოსავლების) ზრდის შეზღუდვით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფლაციის არსის გაგებაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ კონცეფციას, რომლის თანახმად ინფლაცია არის ფულის მიმოქცევის კანონის დარღვევა, რომელიც ვლინდება ფულის მასის სიჭარბეში მასზე რეალურ მოთხოვნილებასთან შედარებით, ან ფულის გაუფასურებაში, რომელსაც თან სდევს ფასების ზრდა საქონლის ხარისხის გაუმჯობესების გარეშე.

ინფლაციის გამომწვევი სხვადასხვა მონეტარული და არამონეტარული ფაქტორიდან ძირითადია მოთხოვნის ზრდით გამოწვეული ინფლაცია და დანახარჯების (მიწოდების) ზრდით გამოწვეული ინფლაცია. მეტწილად რეალურად ეკონომიკაში ერთდროულად მოქმედებს ფასების ზრდის მონეტარული და არამონეტარული ფაქტორები.

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ანტიინფლაციური რეგულირების მონეტარული მოდელის ეფექტიანობის დაბალმა დონემ მიზანშეწონილი გახადა ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ რეჟიმზე – ინფლაციურ თარგეთირებაზე გადასვლა. იგი წარმოიშვა ნეოკლასიკური და ნეოკეინზიანული თეორიების გადაკვეთაზე, როგორც რეაქცია ფულადი აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის თარგეთირების შედეგების შესუსტებაზე.

ბიბლიოგრაფია References

1. მაკკონელი, ბრიუ 1999 : მაკკონელი კ. , ბრიუ ლ. „ეკონომიკის“ 1999.
2. Коков, Мальчаков 1997 : Коков Ж., Мальчаков И. Теоретическая экономика 1997.
3. Камаев 1998 : Камаев В. Экономическая теория 1998.
4. Фридман 1999 : Фридман М. „Если бы деньги заговорили...“ 1999.
5. ბარათაშვილი, ვეშაპიძე 2002 : ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ. „რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა“ 2002.
6. ლურნკაია 2007 : ლურნკაია კ., „ეკონომიკის პრინციპები“ 2007.
7. ჩიქავა 1997 : ჩიქავა ლ. „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ 1997.

ლაშა ნარსია, მინდია ჯინჯოლავა

იკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ბიზნესის ადმინისტრირების IV კურსის სტუდენტი

DCFTA საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა მხრდაჭერისათვის

ანოტაცია: თანამედროვე პირობებში საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა ფორმირების პროცესი ატარებს რთულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს, რაც განპირობებულია მრავალი მიზეზით: ბაზრის არასრულყოფილება, საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონე, ზენოლა მონოპოლისტი საწარმოების მხრიდან, მოსახლეობაში არსებული კერძო დანაზოგების სიმწირე, დაბალი პროფესიონალიზმი. შედეგად, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ მეოთხედი. მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს თამაშობს. განსაკუთრებით კი, მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში როგორც კონკურენციის უზრუნველყოფის და მსხვილი ბიზნესის განვითარების პირობა. იგი ღირებულების ჯაჭვის ზრდაში უზრუნველყოფს მსხვილი კორპორაციების მობილურ მოქმედებას და ეფექტური ინსტიტუტია მსხვილი კომპანიებისთვის მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაში.

ამრიგად DCFTA შესაძლებლობების გამოსაყენებლად, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა მხრდაჭერისათვის გლობალურ ბაზრებზე შესასვლელად საჭირო ხდება არა მარტო მცირე და საშუალო წარმოების მეთოდების სრულყოფა, არამედ მათი მენეჯმენტის სრულყოფაც. მთავარი მიზანია საწარმო გახდეს გლობალური ღირებულების ზრდის ქსელის მონაწილე. საქართველოში მოქმედ საწარმოებს განვითარების დიდი პოტენციალი ექმნებათ. თუმცა, მნიშვნელოვანია მათი მომზადება მაღალი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და ეფექტური კონკურენციისთვის. ამ ამოცანის გადაჭრაში საწარმოებს სჭირდებათ მხარდაჭერა ეფექტური ლოჯისტიკის ფორმირებაში, რომელიც მოიცავს აუცილებელ ინფრასტრუქტურას და ინსტიტუციურ

გარემოს, ასევე აუცილებელ ბიზნეს სერვისებს. საქართველოს საკანონმდებლო გარემო შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის კონკურენტულ პოლიტიკასთან.

ამოსავალი სიტყვები: DCFTA, სანარმოები, კონკურენტუნარიანობა, ბიზნესი, ევროკავშირი.

Lasha Narsia , Mindia Jinjolava

*/Academic Doctor of Economics,
4th year student of ZSSU Business Administration Faculty /*

DCFTA for supporting small and medium enterprises in Georgia

Abstract: *In modern conditions, the process of forming small and medium enterprises in Georgia has a complex, resistant nature, due to many reasons: market imperfection, low level of investment and credit attractiveness, pressure from monopolist enterprises, lack of private savings in the population, low professionalism. As a result, small and medium enterprises in Georgia come in only a quarter of gross domestic product. Small and medium business plays a decisive role. Particularly important is the role of small business in the economy as a condition of competition and the development of large business. It increases the value of chain increases in mobile operators of large corporations and is an effective institution in the demand-supply chain for large companies, introduction of new technologies and innovations.*

In order to use DCFTA capabilities, small and medium enterprises in Georgia are required to enter the global markets not only to improve the small and medium-sized methods but also to improve their management. The main goal of the enterprise is to become a member of the Global Value Network. The enterprises operating in Georgia have great potential for development. However, it is important to prepare them for high standards and effective competition. In the solution of this task, enterprises need support for effective logistics, which involves the necessary infrastructure and institutional environment as well as essential business services. The legislative environment of Georgia must come into conformity with EU's competitive policy.

Key words: *DCFTA, Enterprises, Competitiveness business, EU.*

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა ფორმირების პროცესი ატარებს რთულ, წინაღმდეგობრივ ხასიათს, რაც განპირობებულია მრავალი მიზეზით: ბაზრის არასრულყოფილება, საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონე, ზენოლა მონოპოლისტი საწარმოების მხრიდან, მოსახლეობაში არსებული კერძო დანაზოგების სიმწირე, დაბალი პროფესიონალიზმი. შედეგად, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ მეოთხედი. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2016 წელი 3864,6 აშშ დოლარი (12). სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში ჯერ კიდევ დაბალია მცირე და საშუალო საწარმოთა ხვედრითი წილი. დისპროპორციები არსებობს მცირე და საშუალო მეწარმეობის დარგობრივ და რეგიონულ სტრუქტურებში. მცირე და საშუალო საწარმოები ვერ ასრულებენ სასურველ ფისკალურ როლს. მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა არ აღემატება ქვეყნის კრეზსითი მაჩვენებლის 20 პროცენტს. მცირე და საშუალო საწარმოები ჩამორჩებიან კაპიტალაღჭურვილობისა და შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვით.

მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს თამაშობს. განსაკუთრებით კი, მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში როგორც კონკურენციის უზრუნველყოფის და მსხვილი ბიზნესის განვითარების პირობა (1. გვ. 23.). იგი ღირებულების ჯაჭვის ზრდაში უზრუნველყოფს მსხვილი კორპორაციების მობილურ მოქმედებას და ეფექტური ინსტიტუტთა მსხვილი კომპანიებისთვის მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაში. მათი საქმიანობით, საბაზრო ნიშების შევსების ხარჯზე კმაყოფილდება საზოგადოების ის მოთხოვნები, რომელსაც იგნორირებს მსხვილი და საშუალო ბიზნესის საწარმოები, მცირე მინიმალური მასშტაბის ეფექტის გამო. ასეთი საწარმოების სპეციალიზაციის შესაძლებლობა დიდია და მსხვილ კომპანიებთან შედარებით უპირატესი როლი ენიჭება, როდესაც საქმე დამხმარე წარმოებას ეხება. მათი მოქნილობა ინოვაციური განვითარების საშუალებას იძლევა, რადგან დაბალი რისკებით ახდენენ ტექნოლოგიური, ტექნიკური, ორგანიზაციული სიახლეების დამუშავებასა და დანერგვას, რომლის გარეშეც შეუძლებელია მსხვილი საწარმოების ფუნქციონირება.

საქართველოს და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას, რომელითაც მხარეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება. ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებს განსახლვრავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), რომელიც ასოცირების შეთანხმების განუყოფელი ნაწილია. ევროკავშირისთვის ეს ე.წ. „შერეული“ ხასიათის შეთანხმებაა, რომელიც როგორც ევროკავშირს, ასევე მის წევრ ქვეყნებს ავალდებულებს. შეთანხმების ტექსტი საკმაოდ ვრცელია და მას ბევრი დანართი აქვს. შეთანხმებას 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა ხელი, რის შემდეგაც იგი საქართველოს, ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული. შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი პირობითად (conditional application) 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს იგი სრულად შევიდა ძალაში. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება უაღრესად ტექნიკური ხასიათისაა, თავისი არსით იგი საქართველოსთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობისაა, რადგან საქართველოს ევროპულ იდენტობას ადასტურებს და ხაზს უსვამს ქვეყნის სტრატეგიულ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს, რაც ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებაში მდგომარეობს.

შეთანხმების პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საქართველოს მომავლისთვის და ქვეყნის დამოუკიდებელ და უსაფრთხო ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის. ამ მიზნების განსაზღვრა საკმაოდ მარტივადაა არის შესაძლებელი. შეთანხმების პოლიტიკური მიზანი საქართველოს „ევროპული არჩევანის“ განხორციელების და მისი ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობაა. ეს გულისხმობს ფუნდამენტური ევროპული ღირებულებების, კერძოდ კი, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფას და ევროპული უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ნორმების დანერგვას. შეთანხმება არ ეხება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს, თუმცა იგი არ გამოირიცხავს მომავალში ასეთი პერსპექტივის არსებობას. შეთანხმების ეკონომიკური მიზანია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციის მხარდაჭერა, ევროკავშირთან და მსოფლიოს უმსხვილეს

სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობის გაფართოების ხელშეწყობით და ეკონომიკური რეგულირების ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად რეფორმირების გზით. ეს ნაბიჯები, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს და ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი დონის მიღწევას.

შეთანხმება წარმოადგენს საქართველოს მოდერნიზაციის და ევროპიზაციის გეგმას ევროპულ ნორმებთან ჰარმონიზაციის გზით, რაც, ზოგადად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად მოიაზრება. ქვეყანა წინდახედულად უდგება ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და იმავდროულად, თავს არიდებს ვალდებულებების გადაეტიტვლად ან ნაადრევად შესრულებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების თვალსაზრისით საკმაო მოქნილობაა დაშვებული და ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია დადგენილი ვადების გაგრძელება, ან საკანონმდებლო მოთხოვნების გადასინჯვა. როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროკავშირისთვის ეს პროცესი იქნება უფრო მეტად „სწავლება კეთების პროცესში“ და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება საკანონმდებლო მოთხოვნების დეტალების კორექტირება. ევროკავშირისთვის საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებები წარმოადგენს სხვა ქვეყნებთან ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება: რა, რატომ და როგორ? 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირმა პრაქტიკულად სრულად გახსნა თავისი ბაზარი საქართველოდან იმპორტისთვის და გააუქმა საიმპორტო ტარიფები. 2006 წლიდან საქართველომ ცალმხრივად გახსნა თავისი ბაზარი მთელი მსოფლიოსთვის. ეს ნიშნავს, რომ ევროკავშირის ბაზრის გახსნა ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს საქართველოს და ამავედროულად არ არის დაკავშირებული რისკებთან, რადგანაც ქვეყნის ეკონომიკა უკვე ისედაც მორგებულია საერთაშორისო კონკურენციას. შეთანხმებით გათვალისწინებულია საქართველოსთვის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა ტექნიკური დახმარებისა და ინვესტიციების სახით იმ სფეროებში, სადაც რეგულირებასთან შესაბამისობის ხარჯები მაღალია, ასევე, გათვალისწინებულია ევროკავშირის მხრიდან გრანტების, ხოლო ევროპული საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან კი სესხების გამოყოფა

თუ ინვესტიციების განხორციელება. შეთანხმება არ წარმოადგენს ჯადოსნურ ჯოხს, რომელიც საქართველოს არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების დაუყოვნებელ გადაჭრაში დაეხმარება. მიუხედავად ამისა, შეთანხმების დებულებები მიმართულია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების უმეტესი ნაწილის ხელშეწყობისკენ. საბოლოო ჯამში, შეთანხმება წარმოადგენს გზამკვლევს, რომელიც დაეხმარება საქართველოს შეუერთდეს ევროპის მთელ რიგ მცირე, მაგრამ ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებს რომელთაც უკვე მიაღწიეს, ან შეუძლიათ მიაღწიონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალ დონეს (6. გვ. 17).

მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში არის პროექტი, მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარეობს და მას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) ახორციელებს.

პროექტის მიზანია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) განხორციელებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს რეფორმების მხარდაჭერა, კერძოდ, მცირე და საშუალო მენარმეობის შესაძლებლობათა გაძლიერების კუთხით, რათა გაიზარდოს ამ სექტორის კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოფილ იქნას ახალ მარეგულირებელ გარემოსთან მისი ადაპტირება. პროექტი მოამზადებს ნიადაგს მცირე და საშუალო მენარმეობის გაძლიერებისთვის საქართველოში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

პროექტი მოიცავს ოთხ კომპონენტს:

კომპონენტი 1: მენარმეობის განვითარების ჩარჩო პირობების გაუმჯობესება და მცირე და საშუალო მენარმეობის მონაწილეობა პოლიტიკურ დიალოგში.

კომპონენტი 2: მცირე და საშუალო მენარმეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული ინსტიტუტების შესაძლებლობების განვითარება.

კომპონენტი 3: მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ, სექტორულ და ადგილობრივ დონეზე ბიზნესკლასტერების განვითარებისა და ბიზნესსელების მხარდაჭერის გზით.

კომპონენტი 4: ბიზნესკლასტერების და ქსელების ინტეგრირება ევროკავშირში მოქმედ შესაბამის ქსელებში, რომლებიც

ორიენტირებულია მეწარმეობის განვითარებაზე, ინვესტირებასა და ვაჭრობის ხელშეწყობაზე.

პროექტი ხელს უწყობს ბიზნეს საზოგადოების, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეების, ინფორმირებულობის გაზრდას DCFTA-ს შესახებ. მისი მხარდაჭერით შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს DCFTA. გოვ.გე ვებგვერდი და დაარსდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის DCFTA საინფორმაციო ცენტრები.

DCFTA-ს ხელშეწყობის პროგრამა (200 მლნ ევროს მოცულობით) ემსახურება საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, EBRD-მა სს „საქართველოს ბანკს“ გამოუყო პირველი ტრანში – 50 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნული ვალუტით. სესხები გაიცემა ეროვნული ვალუტით, ხუთწლიანი საშელავათო პერიოდით. მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი სტანდარტების დანერგვისათვის პროგრამის ბენეფიციარებს ექნებათ კონსულტაციის მიღების საშუალება.

DCFTA-ს ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიღებული დაფინანსება:

- ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს გამოიყენოს DCFTA-ს საშუალებით წარმოქმნილი ვაჭრობის შესაძლებლობები ევროკავშირთან;

- გაუიოლებს მცირე და საშუალო ბიზნესს დაფინანსების მიღებას, რაც საშუალებას მისცემს მათ ჩადონ ინვესტიცია საკუთარი კონკურენტუნარიანობის გაზრდაში;

- უცხოელ ინვესტორებთან პარტნიორობის მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესს მისცემს გლობალურ მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში ინტეგრირების საშუალებას;

- საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო ბიზნესს უზრუნველყოს ახალ სანიტარიულ, ფიტოსანიტარიულ, ტექნიკურ და ხარისხის სტანდარტებთან, გარემოს დაცვის ღონისძიებებთან შესაბამისობა, რაც, თავის მხრივ, სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მომხმარებელს და ხელს შეუწყობს ექსპორტს როგორც ევროკავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

East Invest პროგრამა მცირე და საშუალო ბიზნესის გასაძლიერებლად. East Invest პროგრამა არის აღმოსავლეთ ევროპის

სამეზობლო რეგიონის რეგიონული საინვესტიციო და ვაჭრობის ხელშეწყობის ინსტრუმენტი, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ინიციატივის ფარგლებში. ის განკუთვნილია როგორც ბიზნესის მხარდამჭერი, ისე მცირე და საშუალო ბიზნეს ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც აქვთ ევროკავშირთან ორმხრივი თანამშრომლობისა და საინვესტიციო ურთიერთობის დამყარების პოტენციალი.

როგორ დაეხმარება East Invest პროგრამა თქვენს ორგანიზაციას:

- გააძლიერებს დიალოგს საჯარო და კერძო სექტორს შორის და უზრუნველყოფს თქვენი ორგანიზაციის ჩაბმას მცირე და საშუალო ბიზნესორგანიზაციების, ბიზნესისა და საჯარო სექტორის ხელშეწყობ ქსელურ მექანიზმში;

- ბიზნეს თანამშრომლობის, ერთმანეთთან ვაჭრობის, ტექნოლოგიების გადაცემის, საბაჟო პროცედურების, პროდუქციის სტანდარტებისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის მიმოცვლას თქვენს ორგანიზაციას, ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების სხვა კომპანიებს შორის.

East Invest 2 ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (BSOs) and მცირე და საშუალო ბიზნესის (SME) მხარდასაჭერად. East Invest 2 პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოსა და კონკურენტული კერძო სექტორის განვითარებას სავაჭრო ნაკადების და ინვესტიციების მოცულობის ზრდის მეშვეობით ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (საქართველოს ჩათვლით) შორის.

East Invest 2 პროგრამის მიზანია:

- გააძლიეროს მცირე და საშუალო ბიზნეს ასოციაციები საქართველოში და გააუმჯობესოს მათი შესაძლებლობები ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნაში აქტიური მონაწილეობის მიზნით;

- გააუმჯობესოს საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგი და გააძლიეროს ბიზნეს ასოციაციების შესაძლებლობები სახელმწიფოსთან დიალოგში მცირე და საშუალო ბიზნესის სათანადო დონეზე წარმოსადგენად;

- უზრუნველყოს ასოციაციების შესაძლებლობების ზრდა და მდგრადობა, რათა მათ შეძლონ საკუთარი წევრებისათვის გაუმჯობესებული პროფესიული მომსახურების განევა;

- გააუმჯობესოს გრძელვადიანი პარტნიორობისა და ვაჭრობის პროცესი საქართველოს, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესსა და/ან მათ ასოციაციებს შორის;

- ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის მონაწილეობას საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელმოწერილ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმებაში.

The EU4Business – EBRD საკრედიტო ხაზი. EU4Business – EBRD საკრედიტო ხაზი წარმოადგენს ევროკავშირისა და EBRD-ის ერთობლივ ინიციატივას, რამელიც მიზნად ისახავს ქართული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ინვესტიციების დაფინანსებას, რაც მათ საშუალებას მისცემს სრულად გამოიყენონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში არსებული შესაძლებლობები.

იმისათვის, რომ ქართულმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა სრულად ისარგებლონ აღნიშნული შესაძლებლობებით და გააფართოვონ გასაღების ბაზრები ევროკავშირის ქვეყნებში, აუცილებელია ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობა. ხშირ შემთხვევაში ეს დაკავშირებულია ახალი დანადგარებსა და ტექნოლოგიებში ინვესტიციებთან, რაც ხელს შეუწყობს წარმოებული პროდუქციის / მომსახურების ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობას.

რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს ინვესტიცია და როგორ უნდა მოიძიონ რესურსები ინვესტიციის განსახორციელებლად – ეს საკითხები ხშირ შემთხვევაში შესასძლოა იქცეს დაბრკოლებად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის. ევროკავშირისა და EBRD-ის ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი EU4Business – EBRD საკრედიტო ხაზი ქართულ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს სწორედ ამგვარი დაბრკოლების გადალახვაში დაეხმარება.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მექანიზმი, II ფაზა. აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური დახმარების მექანიზმი მოიცავს EBRD-ის, EIB-ისა და KfW-ის განვითარების ბანკის სესხებსა და გარანტიებს იმ პარტნიორი ფინანსური

შუამავლებისათვის (PFI), რომლებიც საბოლოო დანიშნულებით გასცემენ სესხებს შერჩეული მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის. მისი მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ პარტნიორი ფინანსური შუამავლების ნდობის აღადგენა. პარტნიორები ცდილობენ გააძლიერონ ფინანსური შუამავლების უნარები, გააფართოონ და გააღრმავონ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი საკრედიტო ბაზრები და დაფინანსება, წაახალისონ ბაზარზე არსებული ფინანსური დანესებულებების უწყვეტი განვითარება.

II ფაზაში ყურადღება გამახვილებულია სესხების ადგილობრივი ვალუტით გაცემის სტიმულირებაზე იმ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც არ აქვთ შემოსავალი უცხოური ვალუტით და წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებენ დაფარონ სესხის თანმდევი ხარჯები. პრაქტიკულად, პროექტი უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო მხარდაჭერას.

ევროკავშირმა საქართველოს პროგრამა „DCFTA Facility“ ფარგლებში 100 მილიონი დოლარი გამოუყო. აღნიშნული თანხა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობას მოხმარდება. ფინანსური რესურსი „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა“ „საქართველოს ბანკს“ გადასცა, რომელიც პროგრამას ოპერირებას გაუწევს. დაფინანსების ეს მექანიზმი მცირე და საშუალო საწარმოებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, წარმოების მოდერნიზაციასა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებაში დაეხმარება. შედეგად, ხელს შეუწყობს საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში და გააუმჯობესებს ეკონომიკური ზრდის. პროგრამა „DCFTA Facility“-ის ფარგლებში გათვალისწინებული სარგებელი და შეღავათები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (9).

- მენარმეები კრედიტებს ადგილობრივ ვალუტაში მიიღებენ, რომელთა ვადიანობა 5 წლამდე, ხოლო შეღავათიანი პერიოდი – 2 წლით განისაზღვრება. ევრობანკში საპროცენტო განაკვეთის მოცულობას არ ასახელებენ, თუმცა, აღნიშნავენ, რომ სხვა სესხებთან შედარებით ხელსაყრელი იქნება.

- საინვესტიციო მასტიმულირებელი ფაქტორის სახით, სესხის 15% საწარმოებს უკან დაუბრუნდებათ, რაც ნიშნავს, რომ ამ თანხას, პრაქტიკულად, საჩუქრად მიიღებენ.

• პირველი სესხის რისკის დაზღვევა უზრუნველყოფილია სანარმოებისთვის განსაზღვრული საკრედიტო პორტფელის, თითქმის, 10 პროცენტზე.

• პროგრამის ფარგლებში მცირე და საშუალო სანარმოები საერთაშორისო ექსპერტებისგან უფასო ტექნიკური დახმარებას მიიღებენ.

• სანარმოებს ახალ ტექნოლოგიებსა და აპრატურა-დანადგარებში კაპიტალდაბანდებაში ხელს შეუწყობენ.

ეკონომიკური ზრდის პროცესზე საგარეო ინტეგრაციის და ინტერნაციონალიზაციის ზეგავლენა და მათი ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს ეკონომისტთა მსჯელობის საგანს. მცირე და საშუალო სანარმოები შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი, რომელიც მსხვილი ბიზნესთან პარტნიორობის გზით ხელს უწყობს მწირი რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ევროპული ინტეგრაცია კი მნიშვნელოვანია ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის და ბაზრების გაფართოების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ჩვენს რეალობას, საქართველოში ბიზნესის შენარჩუნების და განვითარების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს: მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობა, უმუშევრობა და სიღარიბე, ფინანსების ნაკლებობა და ხელმიუწვდომლობა, საგადასახადო სისტემა, არაჯანსაღი კონკურენცია და მონოპოლისტები, მაღალი კომუნალური გადასახადები, კლიენტის ნაკლებობა, მაღალი კონკურენცია, მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგიები, მაღალი ქირა ფართზე, არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემა, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, არასტაბილური ფასები, ცუდი ადგილმდებარეობა, ინფლაცია. მენარმეების აზრით, ბიზნესის შენარჩუნების და გაფართოების ძირითადი გზებია: პროდუქციის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლება, წარმოების მართვისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, გასაღების ახალი ბაზრების ათვისება, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, ახალი პროდუქციის და მომსახურების შეთავაზება, ახალი პარტნიორების ჩართვა, საბანკო კრედიტის, სესხის, ან პარტნიორის სახსრების გამოყენება, პროდუქციის და მომსახურების მოცულობების გაზრდა.

ფინანსური სახრსების გამოყენებასთან დაკავშირებით, მენარმეები ყველაზე დიდ პრობლემად ასახელებენ კრედიტზე მაღალ

საპროცენტი განაკვეთს, ბანკის კრედიტის გაცემას მხოლოდ გირაოს და არა ბიზნეს იდეის საფუძველზე, ასევე ბანკებიდან გარანტიის დიდი ოდენობით მოთხოვნას და კრედიტის აღების პროცედურებს.

მცირე და საშუალო ზომის სანარმოებს ხშირად „ფარულ ჩემპიონებსაც“ უწოდებენ, რადგან მათი წილი მსოფლიო ბაზარზე 50 პროცენტზე მეტს შეადგენს, მათი საქონელი

და მომსახურება „უხილავი“ ან ნაკლებად შესამჩნევია, ახასიათებთ გამძლეობისა და სიცოცხლიუნარიანობის მაღალი დონე, გააჩნიათ მნიშვნელოვანი საექსპორტო წილი, არიან გლობალური კონკურენტები და დიდ წვლილი შეაქვთ ქვეყნის წარმატების ბალანსში (1. გვ. 22).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, დაგენილია მიკრობიზნესის და მცირე ბიზნესის ცნებები და განსაზღვრულია მათი კრიტერიუმები. კოდექსის თანახმად, მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. ამ სტატუსის მინიჭება, გაუქმება და მიკრო ბიზნესის სერტიფიკატის გაცემა ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ.

მცირე ბიზნესის სტატუსი კი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. საგადასახადო კოდექსით, მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებზე ვრცელდება სპეციალური შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები. მიკრო ბიზნესი არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით და თავისუფლდება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან, ხოლო მცირე ბიზნესი სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით. მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება სამი პროცენტით, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე

მეწარმე ფიზიკურ პირს აქვს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ერთობლივი შემოსავლის 60 პროცენტის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯისა) დამადასტურებელი დოკუმენტები(3).

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება 2016 წელს მთავრობის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა და მისი განვითარების სტრატეგიაც შემუშავდა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის სწორი სტრატეგიის განხორციელებას შესაძლოა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს ეკონომიკის სწრაფი ზრდისათვის. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მთელი ევროკავშირის მასშტაბით საწარმოთა 99%-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსს ატარებს, სადაც დასაქმებულია დასაქმებულთა 67%, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება შეადგენს მთლიანი დამატებული ღირებულების 57,5%. სწორედ ეს სტატისტიკა მეტყველებს, მცირე და საშუალო საწარმოების როლზე ბიზნესის განვითარებაში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგია ითვალისწინებს დასაქმებულთა რაოდენობასა და ბრუნვის მოცულობას. მაგრამ განსხვავებულია ზღვრული ოდენობები:

მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1.5 მლნ ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს.

მისასაღებელი ფაქტია, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში 2016-2020 ერთ-ერთ პრიორიტეტულ ღონისძიებად დასახელებულია მცირე და საშუალო საწარმოების განმარტების განახლება:

„მნიშვნელოვანია განმარტების განახლება, რომელშიც, კრიტერიუმების ზღვრები დაეფუძნება ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის და შესაბამისად – კომპანიების განვითარების მაჩვენებლებს.

მცირე და საშუალო საწარმოთა სწორი, რეალობას მორგებული განმარტების არქონის გამო საწარმოთა სტატისტიკური მონაცემები (რომელიც ამ განმარტებას ეყრდნობა) არ ასახავს საწარმოთა ზუსტ მაჩვენებლებს და შესაბამისად, ართულებს მიზანმიმართული პოლიტიკის/ღონისძიებების როგორც შემუშავებას, ასევე მათი გავლენის შეფასებას“ (13).

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სხვა ნაკლოვანებებია ის, რომ, მცირე მეწარმეობა არ არის სტაბილური და მათ პერმანენტული მიმწოდებლები არ ჰყავთ და შესყიდვებიც შედარებით ხარჯიანია. ამასთან, მცირე და საშუალო მეწარმეები აღმოჩნდნენ მკაცრ კონკურენციაში უცხო საწარმოებთან, რის შედეგადაც მათ ჩაენაცვლათ იმპორტირებული პროდუქცია. იმპორტმა ნაწილობრივ ჩაენაცვლა ადგილობრივი სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წარმოებას.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ძირითადი პრობლემებისა და ამ სფეროში ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბაზარზე შესვლის და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად მცირე და საშუალო მეწარმეობას ახასიათებს ბარიერები როგორც ტექნოლოგიურ და ფინანსური ინფრასტრუქტურაში, ასევე ბაზარზე შესვლისა და საბაზრო ინტეგრაციის სფეროში. არსებობს განუვითარებელი ბიზნეს გარემოს მხარდამჭერი სერვისები და სტიმულები, დაბალია მენეჯერთა კვალიფიკაცია და გამოცდილება, რაც აისახება მათი შრომის მწარმოებლურობაში.

მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის კომპონენტები, რომლებიც მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის არის: ძირითადი მოთხოვნები 1. ინსტიტუტები 2. ინფრასტრუქტურა 3. მაკროეკონომიკური სტაბილურობა 4. ჯანდაცვა და პირველადი განათლება.

ეფექტიანობის გამაძლიერებელი 5. უმაღლესი განათლება და ტრენინგი 6. სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა 7. შრომითი ბაზრის ეფექტიანობა 8. საფინანსო ბაზრის განვითარება 9. ტექნოლოგიური მზაობა 10. ბაზრის მოცულობა

თანამედროვე პერიოდში მას დაემატა განათლების, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ხელისუფლების მართვის, ბაზრის ეფექტიანობის ფაქტორებიც, რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისით აფასებენ ეკონომიკის განვითარებას.

მცირე და საშუალო საწარმოთა საინვესტიციო შესაძლებლობების წინასწარი შესწავლა გულისხმობს:

- პროდუქციაზე მოთხოვნის შესწავლას ექსპორტისა და იმპორტის ჩათვლით;

- პროდუქციაზე (მომსახურებაზე) საბაზო, მიმდინარე და საპროგნოზო ფასების შეფასებას;

- წინადადებების მომზადებას პროექტის სარეალიზაციო საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმისა და მონაწილეთა შემადგენლობის შესახებ;

- გამსხვილებული ნორმატივებით სავარაუდო საინვესტიციო მოცულობისა და მათი კომერციული ეფექტიანობის წინასწარ შეფასებას;

- საწყის-სანებართვო დოკუმენტაციის მომზადებას;

- პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილებების მიერ წინასწარი შეფასებების მომზადებას, კერძოდ, პროექტის ეფექტიანობის შეფასებას;

- საინვესტიციო საშუალებების დასაბუთების შედეგების დამტკიცებას;

- პოტენციური ინვესტორისათვის საინვესტიციო წინადადების მომზადებას (პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მოსამზადებელი სამუშაოების დაფინანსების გადანაცვლებას).

ამრიგად DCFTA შესაძლებლობების გამოსაყენებლად, საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა მხრდაჭერისათვის გლობალურ ბაზრებზე შესასვლელად საჭირო ხდება არა მარტო მცირე და საშუალო წარმოების მეთოდების სრულყოფა, არამედ მათი მენეჯმენტის სრულყოფაც. მთავარი მიზანია საწარმო გახდეს გლობალური ღირებულების ზრდის ქსელის მონაწილე. საქართველოში მოქმედ საწარმოებს განვითარების დიდი პოტენციალი ექმნებათ. თუმცა, მნიშვნელოვანია მათი მომზადება მაღალი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად და ეფექტური კონკურენციისთვის. ამ ამოცანის გადაჭრაში საწარმოებს სჭირდებათ მხარდაჭერა ეფექტური ლოჯისტიკის ფორმირებაში, რომელიც მოიცავს აუცილებელ ინფრასტრუქტურას და ინსტიტუციურ გარემოს, ასევე აუცილებელ ბიზნეს სერვისებს. საქართველოს საკანონმდებლო გარემო შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკავშირის კონკურენტულ პოლიტიკასთან. თავისუფალი ვაჭრობის

ხელშეკრულება მოითხოვს, რომ პარტნიორ ქვეყნებში კანონმდებლობა შეესაბამებოდეს ევროპულ სისტემას. სახელმწიფოს ინსტიტუციური გარემოს სრულყოფა არ არის საქმარისი პირობა ბიზნესის განვითარებისათვის. საჭირო ხდება ქმედითი მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელიც დღეს უკვე არა მარტო საქართველოს ხელისუფლების დღის წესრიგში დადგა, არამედ იგი ევროკავშირის ერთ-ერთი სამოქმედო გეგმის ნაწილიცაა საქართველოში.

ბიბლიოგრაფია

References

1. ბარათაშვილი ე., გეგბაია ბ., ლლონტი ვ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, 2012.
2. მესხია ი., ბიზნესის საფუძვლები, თსუ, 2011.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2016.
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, 2014.
5. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება.
6. ევროკავშირისა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავება რა, რატომ და როგორ? რედაქტორები: მაიკლ ემერსონი და თამარ კოვზირიძე. Copyright © 2016 CEPS
7. აღმოსავლეთის პარტნიორობის ეროვნული პლატფორმა პოლიტიკის დოკუმენტი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში.
8. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია 2010-2017 წლებში.
9. <http://eugeorgia.info/ka/latestarticle/109/evrokavshirma-saqartvelos-mcire-da-sashualo-biznesis-xelshesawyobad-100-milioni-dolari-gamouyo/>
10. <http://www.inovdev.ge/uploads/files/67021Rezim-EL-Wigni-GEO.pdf>
11. <http://www.inovdev.ge/?page=pubgeo&lang=geo>
12. <http://www.geostat.ge/>
13. <http://eugeorgia.info>

ლამარა გობეჯიშვილი, ნათია ხაზარაძე
/ანსუ პროფესორები/

ქეთევან ლატარია
/ზსსუ ასოცირებული პროფესორი/

ლაქსალეზავების წარმოების გარემოზე მიყენებული ზიანის აკონომიკური გაანგარიშება

ანოტაცია: ლაქსალეზავების აირული გამონაბოლქვების გაანგარიშებას დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს დაცვისათვის. ამ წარმოების აირული გამონაბოლქვები დაბინძურებულია მავნე ორგანული ნივთიერებებით: ტოლუოლი, ქსილოლი და სხვ. გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოყოფა ხდება ლეზვისა და შრობის დროს, ამ დროს ატმოსფეროში ხვდება გამხსნელის აქროლადი ნაწილის წილი და სხვა აეროზოლები.

საკვანძო სიტყვები: აირული გამონაბოლქვები, დაბინძურება, სალეზავის წარმოება, გარემოზე მიყენებული ზიანი

L.Gobejishvili, N. Khazaradze

/Akaki Tsereteli State University Professors/

K. Lataria

/ZSSU associate Professor/

ECONOMIC CALCULATION OF DAMAGE TO ENVIRONMENTAL IMPACTS

Abstract: of embedded gas emissions is of great importance for environmental protection. Gas emissions of this production are contaminated with harmful organic substances: toluol, chilloi and others. The contaminating substances are separated during fur and drying, while the atmospheric part of the aqueous part of the solvent and other aerosols occurs.

Key words: Gas Emissions, Polution, Production of paint, Environmental Damage.

ლაქებისა და სალეზავების წარმოება ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი გავრცელებული დარგია. წარმოებაში გამოყენებული მასალების სხვადასხვა ფუძეების სპექტრი ფართოა. სალეზავების წარმოება ხდება ძირითადად მცირე საწარმოებში. მსოფლიო ბაზარზე ხვდება ალკიდური სალეზავები და ლაქები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც ზეთოვანი სალეზავები. ალკიდური სალეზავების, ემალისა და ლაქების დასამზადებლად იყენებენ ალკიდურ ფისებს. დამზადების პროცესში წარმოიქმნება ნახევრად გამჭირვალე მტკიცე აფსკი, რომელიც მექანიკურად მდგრადია გარეგანი დაზიანებების მიმართ. მათი წარმოებისათვის გამოიყენება მცენარეული წარმოშობის ზეთები, ამიტომ ამ ჯგუფის მასალების არევა ხდება ზეთოვანი მასალების ჯგუფთან. თანამედროვე წარმოება იყენებს მხოლოდ პენტაფტალურ ალკიდებს.

საწარმოში აღირიცხა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ყველა ის მავნე ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს დაბინძურების სტაციონარული გამოყოფის წყაროებიდან – როგორც ორგანიზებული, ასევე არაორგანიზებული გაფრქვევების სახით. საქმიანობისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების განთავსების მდგომარეობა მოცემულია საწარმოო ობიექტის გენგეგმაზე, საიდანაც ცხადად ჩანს, რომ გარემოს უმთავრესი დამაბინძურებელი წყაროა: ნედლეულის შემრევი მოწყობილობები (კასრები). დაბინძურების წყაროების დახასიათებისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, თუ რამდენად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს გამოყენებული (სალეზავის შემრევი და სასრესი) დანადგარები. საწარმოში არსებული დანადგარები არ არის აღჭურვილი ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემამცილებელი მოწყობილობებით. აქ ძირითადად გასათვალისწინებელია შემდეგი შემთხვევები: მტვრის გაფრქვევა ხდება არაორგანიზებული წყაროდან ბუნებრივი ვენტილაციის გზით (შენობის ფანჯრები და ლიობები): ფორმალდეჰიდის გაფრქვევა ხდება გამწოვი კარადიდან (ორგანიზებული, აირგამწოვი მილიდან ფორმალდეჰიდის მზომ კოლბაში ჩამოსხმის დროს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს საქმიანობის დროს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამოყოფას ადგილი აქვს სალეზავის კომპონენტების შერევის დროს.

იმისათვის, რომ ვიანგარიშოთ, დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობა, უნდა ვიცოდეთ შესაღებ მასალაში გამხსნელის

წილი, ლაქსაღებავების მასალების წილი და ღებვისა და შრობის პროცესში გამოიყოფილი ნივთიერებების რაოდენობა.

ლაქსაღებავების წარმოების გარემოზე მიყენებული ზიანის ეკონომიკური გაანგარიშებისათვის საჭიროა შემდეგი მონაცემები:

წლიური ხარჯის მონაცემების გადაანგარიშება

გაანგარიშება ერთ თვეზე (ინტენსიური სამუშაო თვე) – კი-ლოგრამი.

ხარჯი სამუშაო დღეების რაოდენობაზე,

სამუშაო საათების რაოდენობა დღეში.

გამოყენებული მასალები.

ღებვის მეთოდიკა.

აირმავალის სიგრძე (2 მ.).

საქვაბე – სათბობის ხარჯი ტ/წლ.

მილის სიმაღლე მ.

სათბობის მარკა.

საღებავით დაფარვის პროცესი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგრამ უპირატესობა ენიჭება პნევმატურ მეთოდს.

ღებვისა და შრობისას გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოყოფის წილი (%) მოცემულია ცხრილში 1

ცხრილი 1

გამაფრქვევებლები	გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოყოფა		
	აეროზოლის სახით დაკარგული საღებავის წილი	ღებვის დროს გამოყოფილი გამხსნელის წილი	შრობის დროს გამოყოფილი გამხსნელის წილი
პნევმატური	30	25	75
უჭაერო	2,5	23	77
ელექტრული	0,3	50	50
პნევმოელექტრული	3,5	20	80

ბაზარზე შემოსული ყველა ფართოდ გავრცელებული ლაქსაღებავების მარკები: გამხსნელი 646, გამხსნელი P4, ემალი MC-12, ემალი MC-17, ემალი – ПФ-13 და სხვ.

ბუნებრივი ვენტილაციით სანარმო სათავსოში განთავსებული ყველა დანადგარიდან გატანილი მავნე ნივთიერების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M \text{ ზოგ/აირცვლა} = M_{\text{წმ}} * n * kO * kO (1 - kO) \text{ გ/წმ}$$

სადაც: n ერთ გაფრქვევის წყაროდ გაერთიანებული ერთგვაროვანი დანადგარების რაოდენობაა;

kO ადგილობრივი გამწოვის ეფექტურობის კოეფიციენტი, (უდრის – 0,9).

kO დაღეჯვის გრავიტაციული კოეფიციენტი და უდრის 0,4;

kO უგანზომილებო სიდიდეა =1.0. ემისიის შეფასებისათვის გამოყენებული აღნიშნული სახელმძღვანელო მეთოდიკების მიხედვით განსაზღვრული კონკრეტული საანგარიშო ფორმულები წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტის მე-7 თავში „ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში“. აღნიშნული სახელმძღვანელო მეთოდიკების მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად გაანგარიშება ჩატარებულია სანარმოს დაგეგმილი დატვირთვის პირობებისათვის.

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის გაანგარიშება

ცარცის მტვრის გაფრქვევების ანგარიში ხორციელდება მეთოდიკის შესაბამისად, რომლის მიხედვით ცარცის მტვრის ხვ. გაფრქვევის კოეფიციენტი აღებულია 0,08 კგ/ტ. სანარმოში წლის განმავლობაში გამოიყენება 315,0 ტ ცარცი. ცვლაში – 1050,0 კგ. ერთ ცვლაში ცარცის ჩაყრა შემრევში გრძელდება 1 საათი. აქედან გამომდინარე ატმოსფეროში ცარცის მტვრის ჯამური გაფრქვევა

$$G \text{ ატმოსფერო} = 315,0 \text{ ტ} * 0,08 * 0,4 / 1000 = 0,0101 \text{ ტ}$$

ატმოსფეროში ცარცის მტვრის მაქსიმალური გაფრქვევა

$$M = 1,05 * 0,08 * 0,4 * 1,0 * 1,0 / 3600 = 9,3 * 10^{-6} \text{ გწ}$$

ფორმალდეჰიდის გაფრქვევის ანგარიში ხორციელდება მეთოდიკის შესაბამისად, რომლის მიხედვით ფორმალდეჰიდის აქროლადობა უდრის

$$M_{\text{ხვ}} = 1,67 * 10^{-4} \text{ გ/წმ}$$

ფორმალდეჰიდის ჩასხმა-მორევა გრძელდება 10 წთ.

ერთ ცვლაში გაფრქვევა

$$M_{\text{საწარმო}} = 10 \text{ წთ} * 60 * 1,67 * 10^{-4} \text{ გ/წმ} = 0,1$$

$$G_{\text{ტ/წლ}} = 0,102 * 300 / 10^6 = 0,0000306 \text{ ტ/წელ} = 3,06 * 10^{-5}$$

გაფრქვევის გაანგარიშების ჯამური შედეგები

ცხრილი 2

კოდი	მაგნე ნივთიერებათა დასახელება (ფორმულა)	ემისია გან- მენდის გათვა- ლისწინების გარეშე		განმენ- დის ეფექ- ტურო- ბა, %	ემისია გან- მენდის გათვა- ლისწინებით	
		გ/წმ	ტ/წელ.		გ/წმ	ტ/წელ.
2902	არაორგან. მტვერი SiO ₂ < 20%	9,3* 10 ⁻⁶	0,010	0,00	9,3* 10 ⁻⁶	0,010
1325	ფორმალ- დეჰიდი	1,67* 10 ⁻⁴	3,06* 10 ⁻⁵	0,00	1,67* 10 ⁻⁶	3,06* 10 ⁻⁵
ჯამი		1,76* 10 ⁻⁴	0,010	0,00	1,76* 10 ⁻⁴	0,010

ბიბლიოგრაფია

References

1. ატმოსფეროს დამაბინძურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის გაანგარიშების მეთოდთა მე-4 კატეგორიის ობიექტებისათვის, ყაზახეთის რესპუბლიკა, გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება №100-П 18. 04. 2008 წ. დანართი №9.

2. „სამუშაო ზონის ჰაერში მაგნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ,“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 25 დეკემბრის №346/ნ ბრძანებით დამტკიცებული სანიტარიული წესები და ნორმები (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე № 2. თბილისი, 07.01.04. მუხლი 40

3. Ю.С.Рыбаков. Промышленная экология. Екатеринбург 2004.